ომარ გოგიაშვილი
ელბერდ ბატიაშვილი

ქართული სახელმწიფოს იდეოლოგები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 2002

УДК 32.001(479.22)
გა96

ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფია „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ გამოქვეყნდა 1938 წელს. დღემდე ეს ნაშრომი ნაკლები ყურადღებით სარგებლობდა ჩვენი მეცნიერებისაგან. იგი არ არის შესული ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულში.

ავტორებს მიზნად დაუსახავთ ამ მონოგრაფიის საფუძველზე გადმოსცენ თანამედროვეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორიც ეროვნული მემკვიდრეობა და ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაა.

განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: პროფესორი
ლევან სანიკიძე

რეცენზენტები: გ. აბესაძე
ვ. ქარუმიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2002 წ.

გ 0301040200
608(06)-02

ISBN 99928-931-6-8.

შესავალი

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელშიც განხილულია მისი ლიტერატურული, ესთეტიკური, პედაგოგიური, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური შეხედულებების, იდეებისა და თეორიების ფართო სპექტრი, გამორჩეულად დგას 1938 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოცემული მომცრო ზომის მონოგრაფია „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“. ეს იყო ტოტალიტალური საზოგადოების პირობებში ილიას მრავალმხრივი მემკვიდრეობის ზოგიერთი ასპექტის პირუთვნელი, ობიექტური შეფასების პირველი და დიდი ხნის მანძილზე უკანასკნელი ცდა. ივანე ჯავახიშვილის მართალი სიტყვა ილია ჭავჭავაძის შესახებ, თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის პოლიტიკურ სისტემას და მასობრივი პოლიტიკური რეპრესიების სიტუაციას და იმასაც, რომ ამ სისტემის სათავეში საქართველოში ილიას იდეური და ფიზიკური მკვლელები იყვნენ, მოქალაქეობრივი გმირობისა და თავგანწირვის ტოლფასია.

სამწუხაროდ, ივანე ჯავახიშვილის ამ ნაშრომს დღევანდელი საზოგადოებრიობა ნაკლებად იცნობს. ამის გამო საჭიროდ ჩავთვალეთ ამ ნაშრომის ხელახალი გამოცემა და საკითხების სისრულისათვის, იმ პრობლემების მეტნაკლებად სრულყოფილი გააზრებისათვის, რომლებზედაც შეაჩერა თავისი ყურადღება

და კალამი ივანე ჯავახიშვილმა, კომენტარებში განხილულია ილიას ის შრომებიც, რომლებიც ვერ აისახა ივანე ჯავახიშვილის ამ ნაშრომში. სრულიად ბუნებრივია, რომ საზოგადოების ცხოველ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბოლო ორი საუკუნის ორი ყველაზე დიდი ერისკაცის მსოფლმხედველობრივი ნათესაობისა და შეხედულებათა ურთიერთდამთხვევის ასპექტები. ქართული სახელმწიფოებრიობის „ახლად შენების“ პერმანენტულ პროცესში ეს ეროვნული მემკვიდრეობის საგანძური და გნებავთ, „ოქროს ფონდია“.

ივანე ჯავახიშვილი ილიას მემკვიდრეობას – „საქართველოს მომავლის გზის გამკვალავს“ უწოდებს. ჭეშმარიტად რომ ასეა – დიდი ივანე ამ შემთხვევაშიც ჭეშმარიტებას ღაღადებს – დიდ ქართულ ჭეშმარიტებას.

მაგრამ გადის ათეული წლები და ამ მემკვიდრეობის საქმედ ქცევას არა და არ ადგება საშველი. იქნებ, სწორედ დღეს, როცა ღვთის მადლით, „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნებას“ ვეღირსედ, ეს მემკვიდრეობა მართლაც გახდეს ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის გზამკვლევი...

ავტორები

მაშ ასე, ერთად შედუღაბებული ორი დიდი ერისკაცი – ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი, ორივე გაწამებული და გამწარებული მესამედასელ „ესდეკთა“ კოსპოლიტიზმ-ინტერნაციონალიზმით, ეროვნულ ისტორიასა და მემკვიდრეობაში რომ ვერაფერს ხედავდნენ, გარდა „გმობისა და უარყოფისა“...

ამიტომ წერს პოეტიც ღვთისაგან ჩაგონებულ სიტყვებს – „კრწანისზე მწარე წიწამურია“ და ახლაც ნატყვიარი განახლდა თითქოს, – კვლავ მესამედასელთა „ზეობაა საქართველოში“, „კვლავ გმობა და უარყოფა“ საკუთარი ეროვნულისა, მონობა და თაყვანისცემა „ყოველივე უცხოურისა და თუთიყუშური უცხო ბაძისა“... და არანაკლებ მწარედ ჟღერს დღეს ჭილაძისეული – „კრწანისზე მწარე წიწამურია“...

და მაინც, იმედის სხივი კიაფობს ამ ჩვენს დაცემულ-დამშეულ-დამონებულ ქვეყანაში, იმედი ხვალინდელი დღისა, „ქართველთა სახელისა და წესწყობის აღდგინებისა“... და რაოდენი მადლობელი ვარ პირადად მე ავტორებისა, რომ ასე დაჟინებით (და არა მარტო დაჟინებით – დარწმუნებითაც!), დაგვაფიქრეს ჩვენს დაკარგულ ვინაობაზე“...

ვინძლო ფიქრისა და განსჯის შემდეგ, საქმეც გაგვახსენდეს – ქართული სახელმწიფოს მშენებლობის დიდი ქართული საქმე: სხვანაირად ხომ მეცნიერებაც, იდეოლოგიაც და პოლიტოლოგიაც, ისევ ილიასებურად პირდაპირ ვთქვათ – „უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშია“...

და ვინ უნდა აქციოს საქმედ ყოველივე ეს, თუ არა ჩვენ? მაშ გაეერთიანდეთ ყველა ილიას „საერთო ნიადაგზე“ – ვერსად ვერ ვნახავთ ამ თეორიაზე ქართული სახელმწიფოს უფრო მკვიდრ საფუძველს!

† *ლევან სარიკიძე*

ივანე ჯავახიშვილი

ილია ჭავჭავაძე
და
საქართველოს ისტორია

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია

თუ წინათ ილია ჭავჭავაძის საქართველოს ისტორიისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ მსჯელობა, მხოლოდ მისი ისტორიული პოემების მიხედვით შეიძლებოდა, 1927 წლის შემდეგ, როდესაც ჩვენი დიდებული მოღვაწის ნაწერების სრული კრებულის მე-5 ტომი გამოვიდა, მკვლევარს სრული საშუალება მიეცა ეს საკითხი უკვე ვრცლად და ბევრი სხვა მისი ნაშრომის მიხედვითაც განეხილა. მე მგონია, რომ ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციისა და მისი მოღვაწეობის ამ დარგში მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ჩვენი მგოსნის ისტორიული პოემების გამოყენება არც საჭიროა და არც მართებული. პოემები ხომ არსებითად მხატვრული ნაწარმოებებია და მიზნადაც იქ ავტორს საქ. ისტორიის დაწერა არ ჰქონია დასახული. ამიტომაც, ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა გამოსარკვევად და იმ წვლილის ცხადსაყოფელად, რომელიც მას საქართველოს ისტორიის გაშუქებაში შეტანილი აქვს, მისი ისტორიული პოემები არც გამომიყენებია. უამისოდაც ეხლა საკმაო და მრავალფეროვანი მასალა მოგვეპოვება, რომ ზემოდასახული ამოცანის განხორციელება შევძლოთ. სრულებით ბუნებრივია, რომ ჩვენი მიზნის მისაღწევად ჯერ ილია ჭავჭავაძის ზოგადი კონცეფციის განხილვით დავიწყოთ, ხოლო შემდეგ უკვე მისი მეთოდოლოგიის განხილვაზე გადავიდეთ.

ილიას არაერთხელ, მაგ. თუნდაც 1888 წელს, უთქვამს: „როგორც კაცად არ იხსნება ის მაწანწალა", რომელსაც „ალარ ახსოვს, ვინ არის, საიდამ მოდის და საით მიდის, ისეც ერთად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც თავისი ისტორია არ ახსოვს"—ო (V, 207).

1888 წელს, **დ. ბაქრაძის** ნაშრომის „ისტორია საქართველოსი"-ს პროგრამის გამოქვეყნების შემდგომ, ამავე საკითხს ჩვენი მგოსანი კელავ უბრუნდება და ამბობს: წინათაც არა ერთი იყო ისეთი ხალხი, რომელსაც თავისი ისტორია არ ჰქონია და „ამისთანა ხალხნი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანა'ზედ". მაგრამ, ილია ჭავჭავაძის ა'სრით, „ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ასეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვისაგან და იქნებ ბევრ'ში უკანაც ჩამოურჩება". ჩვენი მგოსნის სიტყვით, „ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს დროში"—ო (V, 240). „თუ ესეთი არა, ბევრით მეტი ალარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი ისტორია დაუვიწყნია; ალარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ"—ო (V, 240).

ამიტომაც არის, რომ ილია ამბობდა: „არ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გაოახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ თავის ისტორიას ივიწყებს"—ო (V, 207).

ამგვარად, ილ. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. ქართველებსაც, თუ წარმატებული არსებობა სურდათ, ეს დებულება უნდა კარგად ჰქონოდათ შეგნებული.

მაგრამ ჩვენ დაუვიწყარს მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმოყვარეობის თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთნელი შეფასება აინტერესებდა. ილია ჭავჭავაძე მაგ. 1888 წ. სწერდა: „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოერია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მარილა ესეა, ამის საბუთი თვალწინა გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორი–ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენიერად შემკულ წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით–რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას. რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია. და, თუ იგი დავივიწყეთ, მაშ–დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების საათაეც, ჩვეხის ცხოვრების ფესვი, ჩვეხის ცხოვრების საძირკველი, და თუ ესეა, რალა'ხედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?"–ო (V, 241–241).

რა იყო ჩვენი წარსულის სიმაგრე და რა იყო სისუსტე. ამის გაძორკვევა ხომ ისტორიული პროცესის შეგნებით შეიძლება.

მაგრამ ისტორიის გაგება და სისწორით წარმოდგენა ახლაც ადვილი საქმე არ არის, მით უფრო ძნელი საქმე იყო მაშინ, წარსული საუკუნის იმ ხანაში, როცა ილია ჭავჭავაძე ჩვენი კულტურის სწორუპოვარი ბელადი და ხელმძღვანელი იყო.

როდესაც რომელიმე ერის ისტორია შესწავლილი არ არის, ისტორიის მაგიერ ხშირად, ერთი მხრით, უგეგმოდ წარმოებული კვლევა-ძიებაა ხოლმე გაბატონებული, მეორე მხრით კი მიმბაძველობასა და რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იპყრობს ხოლმე ასპარეზს. პირველი დამაღონებელია თავისი უსისტემობითაც და თანაც არც გულსა და არც გონებას არას ეუბნება. მეორემ კი თუმც შესაძლებელია გამოუცდელი მკითხველი თავისი აღნაგობითა და გარკვეულობით უფრო მოჰხიბლოს, მაგრამ მაინებელია იმდენად, რამდენადაც, წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სურათის მაგიერ, რეალურ შინაარსს მოკლებული სქემა არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე იყო საქართველოშიც. ჩვენში წარსული საუკუნის 90-იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის, ისტორიოგრაფია ბატონობდა, რომელიც რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს ვერ მოეწონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა. აი, მაგალითად, რას ამბობდა ილია ჭავჭავაძე 1880 წ.: **„ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში.** ერთის სიტყვით, **ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან.**

ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თვითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა“—ო (V, 201).

სწორედ ასეთი უსისტემო და უმეთოდო ისტორიის საწინააღმდეგოდ 1889 წ. „Северный Вестник“ („ჩრდილოეთის მოამბე“)-ში ნ. დ.—ს ფსევდონიმით ივ. ჯაბადარის წერილები გამოქვეყნდა საქართველოს შესახებ („Письма о Грузии“). ავტორი იქ, მისივე განცხადებით, საქართველოს ისტორიაზე ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის გამოყენებით მსჯელობდა: ამ თავის წერილებში, ვითომც სწორედ ამ ორი მძლავრი მეთოდით აღჭურვილმა, საქართველოს ისტორიაც განიხილა და, მისი წარსულის შეფასების შემდგომ, თავისი მსჯავრიც დასდო. მაგრამ, საფუძვლიანი, დინჯი, კვლევა-ძიების მაგიერ, ივ. ჯაბადარის წერილებში სწორედ ისეთი სქემატიზმი აღმოჩნდა, რომელიც ავტორის სრული მოუმზადებლობის გამო, მთლიანად მცდარი გამოდგა. ამისდა მიუხედავად, მაინც, ვითარცა თითქოს ისტორიის უმაღლესი და მკვეთრი მეთოდებით მომარჯვებული ადამიანის ნამუშევარსა და ნასიბრძნს, ქართული საისტორიო წყაროების უცოდინარსა და გამოუცდელს ჩვეულებრივ მკითხველზე ივ. ჯაბადარის კატეგორიულს დასკვნებს დიდი შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლო. ხოლო, რამდენადაც მთელი მისი მსჯელობა თავაშვებული ნიჰილისტური მსოფლმხედველობით იყო გამსჭვალული, იგი მკითხველს დიდს ვნებას მოუტანდა, ამიტომაც ივ. ჯაბადარის წერილების უყურადღებოდ და განუხილველად დატოვება

არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, ეს უპირველესად ქართველ ისტორიკოსთა მოვალეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რაკი ისინი სდუმდნენ, ვითარცა ქართული საზოგადოებრივი აზრის მესაჭეს, ისტორიკოსის მოვალეობის აღსრულებაც უნებლიედ ისევ ილ. ჭავჭავაძეს მოუხდა. მან ივ. ჯაბადარის ნაშრომი ვრცლად განიხილა თავის წერილებში, რომელთაც სათაურად **„აი ისტორია“** უწოდა. ფრიად საგულისხმოა, თუ როგორ მოეპყრო იგი ამ საქმეს და რა გააკეთა მან ამ დარგში.

რაკი ილ. ჭავჭავაძეს ისტორიის უახლესი მნიშვნელობა კარგად ესმოდა და შეგნებული ჰქონდა, ცხადია, მას არ შეეძლო საქართველოს წარსულის შესწავლის სავალალო მდგომარეობისათვის ყურადღება არ მიექცია. და მართლაც, ჩვენს დიდებულს მგოსანსა და პუბლიცისტს წინათაც და შემდეგშიც არა ერთხელ თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის თავი დაუნებებია და ისტორიული კვლევა-ძიების საკითხებში ჩარეულა.

ვინც **ილ. ჭავჭავაძის** ამ დარგის საკმაოდ მრავალრიცხოვან წერილებს გულდასმით გადაიკითხავს, მას საშუალება ექმნება, როგორც მისი **კონცეფცია გამოარკვიოს ისტორიის ზოგადს საკითხებზე, ისევე ისიც გაითვალისწინოს, თუ რა წვლილი აქვს ილ. ჭავჭავაძეს საქ. ისტორიის შესწავლაშიც შეტანილი.** სწორედ ეს მიზანი გვაქვს ჩვენ ამ ჩვენს მოხსენებაში დასახული.

ივ. ჯაბადარის უკვე ძირითადი რწმენა სქემატიზმისა და მონური მიმბაძველობის გამომჟღავნებელი იყო. იგი დრეპერის ოდესღაც გავრცელებულ აზრს ემყარებოდა, ვითომც ყოველ ერს, თავისი ბავშვობისა, ყრმობისა და ჭაბუკობის შემდგომ, აუცილებლად სიბერე ეწეოდეს ხოლმე. ამიტომ იყო, რომ ჯაბადარს

ერთს თავის წერილთაგანში ნათქვამი ჰქონდა: მართალია, თუ არა, რომ ქართველი ერი უკვე მოხუცებულია და ღონე გამოელია, თუ მას ჯერ კიდევ სრული ინტენსიური ცხოვრება არც კი დაუწყია და თავის ძალღონე მერმისისათვის შეუნახავსო? და თითონვე პასუხს აძლევდა მკითხველს: არა, ჯერ ინტენსიური ცხოვრება არც კი დაუწყიაო. ილ. ჭავჭავაძე ამ მცდარსა და ასე უცნაურად გამოთქმულ დებულებას სასტიკად შეებრძოლა. იგი ირონიულად ამბობდა: „ავტორი (ე.ი. ჯაბდარი) მერე დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენ სრულის ინტენსიური ცხოვრებით არ გვიცხოვრია და (გვეხარდეს!) ღონე შეგვინახავს მერმისისათვის"-ო (V, 8). ასეთი რამის თქმა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც სწამდა, რომ „სრული ინტენსიური ცხოვრება" ღონისაგან სცლის ერსა, ე.ი. ასუსტებს, აუძლურებს, ხოლო „არა-ინტენსიური ცხოვრება კი ანახვინებს ღონეს მერმისისათვის"-ო (V,8). ამაზე ილ. ჭავჭავაძე სამართლიანად სწერდა: „დღეს აქამომდე გვეგონა, რომ ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვით, დასარჩობი ფონი კი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა"-ო (V, 9). აქეთგან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ „ბედნიერი ერი ისა ყოფილა, ვინც ამ ინტენსიური ცხოვრების მაცდურობას არ აჰყოლია, მისგან არ გაბრიყვებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვის"-ო (V, 9).

ილია ჭავჭავაძეს ეს მოძღვრება სლავიანოფილების მსოფლმხედველობის ანარეკლად მიაჩნდა: „ესეც გამოვიდა სლავიანოფილების მოძღვრება, მერე მარტო იგი ნაწილი ამ მოძღვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულია"-ო (V, 11).

ჩვენმა დიდებულმა მოღვაწემ ამ მოძღვრებას თავისი შემდეგი მსჯელობა და რწმენა დაუპირისპირა: „ინტენსიური ცხოვრება ერთსადაიმავე დროს სათავეც

არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისათვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია"-ო (V, 9). „ღონე შეინახება მერმისისათვისაო, გვანუგეშებს აეტორი. კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარა ჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეინახოს. რა ოხრობისათვის-ღაა საჭირო, რიღას მაქნისია ის შენახული ღონე, თუ არ იმავე ინტენსიურ ცხოვრებისათვის. თუ ასეა, ან თითონ ინტენსიური ცხოვრება რის მაქნისია, თუ ღონისაგან სცლის ერსა, ასუსტებს, აუძლურებს"-ო (V, 9—10).

ასეთ სქემატიზმსა და გაზეპირებულ აზრებს ილ. ჭავჭავაძემ სულ სხვანაირი შეგნება დაუპირისპირა. მაგრამ ილ. ჭავჭავაძე ასეთ აკვიატებულ აზრს რომ წინ აღუდგა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ისტორიის ღრმად გაშუქება არ ენატრებოდა. მისთვისაც ისტორია მარტო ფაქტების გროვა არ იყო. **მას ისტორიული პროცესის საფუძველი და ამამოძრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ მოვლენათა შეფასებაც.** ამასთანავე **მისი რწმენით მთავარი ყურადღება შინაგანს, ე.ი. სოციალ-ეკონომიურსა და კულტურის პრობლემებს უნდა მიჰქცეოდა.**

ილ. ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციით, კაცობრიობის პროგრესის სათავე შემოქმედების წყურვილი და ნიჭია, რომელიც წინათ ზოგჯერ ისეთს დარგში და იმ სახითაც იჩენდა ხოლმე თავს, რომელიც თანამედროვე შეხედულებას უკვე ეეღარ აკმა-

ყოფილებს, მაგრამ ისტორიკოსს უნდა ესმოდეს, რომ მაშინ **„დრო იყო ამისთანა“**. აი თუნდაც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, ტაძრების და მონასტრების ნაგებობანი რომ ავიღოთო, რომელსაც ყურადღების ღირსად არ სთვლიდა და საძრახისადაც კი მიაჩნდა მათ ამგებელთათვის ივ. ჯაბადარს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ეკლესიები და ტაძრებია. ილია ასეთი მსჯელობის საწინააღმდეგოდ ამბობდა: „ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენს ხუროთმოძღვრებას საბერძნეთისა და რომისთანა მნიშვნელობას არ ვაძლევთ“-ო, „მხოლოდ ვამბობთ, რომ ერს შეხვდება ხოლმე დრო, როცა, თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით, – წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურვილია, იმიტომ რომ **სათავე წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არა-რა**“-ო (V, 67).

ნამდვილი ისტორიკოსის მოვალეობა, ილ. ჭავჭავაძის რწმენით, იმაში მდგომარეობს, რომ რაკი „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა“, ამიტომაც **„ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა.** ესე რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდაც მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი არ შეაკლაო“-ო (V, 66). აქვე ჩვენი ავტორი სამართლიანად უმატებს: „ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა“-ო.

საისტორიო მეცნიერებაში ამას ისტორიული პერსპექტივის აუცილებლობა ეწოდება და მართლაც, ცხადია, რომ უამისოდ წარსულის არც ერთ შეფასებას ღირებულება არ ექმნება.

თუ რა გარემოებას აქცევდა ილ. ჭავჭავაძე **ისტორიული პროცესის დროს და რა საფუძვლის**

გამორკვევა მიაჩნდა საჭიროდ მოვლენათა გასაგებად, ამას მისი ერთი საყურადღებო წერილი გვაგებინებს.

1880 წელს დაბეჭდილს წერილში **ილ. ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიას მანამდე სრულებით უცნობი თვალსაზრისით მიუდგა.** მან აღნიშნა, რომ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წარსულში „არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერავინ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალი დაუკვირვებია“ (V, 201). ყველამ იცის, რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოერია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედმიყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად“. თითქმის მთელი თავისი ისტორიული არსებობის დროს საქართველო „იარაღით ხელში იდგა“, რადგან „მტერი თითქმის ყოველ-მხრიდამ მოწოლილი იყო“ (V, 202). **ყველანი აქ მხოლოდ გულადობითა და გრძნობით იყვნენ აღტაცებულნი, მაგრამ არავის ფიქრად არ მოსვლია ამ საგულისხმო მოვლენას ღრმად ჩაჰკვირვებოდა. ილ. ჭავჭავაძე** – კი აქაც საქართველოს ისტორიას სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგა და საჭიროდ სცნო სულ სხვა მხრით გაეშუქებინა.

„ვთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა“-ო, ნათქვამი აქვს მას ჯერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინათ, ეს კიდევ თუნდაც არაფერი იყოს, უმთავრესად **„საკვირველი ეს არის, – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?** ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, – და **საზრდოებას**

ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“-ო, კითხულობდა ჩვენი დიდებული მგოსანი და პირველი ქართველი პუბლიცისტი (V, 202).

როგორც ხედავთ, **საქართველოს ისტორიის ასეთს გაშუქებაშიც ილ. ჭავჭავაძეს პირველობა ეკუთვნის და ამ მხრითაც ის დიდი ღვაწლი მიუძღვის, რომ მან პირველმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა.** საქართველოს ისტორიოგრაფიას მის დროს არამც-თუ ამ თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნის თავგადასავლის გაშუქება აზრადაც კი არ მოსვლია, ის მაშინ იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ, ასეთი საკითხის წამოყენების შემდგომაც, პასუხის გაცემა ვერავინ შესძლო. ილ. ჭავჭავაძემ ეს გარემოება, ეს უმწეობა თვითონაც კარგად იცოდა და ამიტომაც იქვე დამატებული აქვს: „ყოველს ამა საგანზედ უეჭველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხელს ვერაფრით შეგვიწყობს, ერთს იმისთანას არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვიხმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ **უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურ ბაგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს.** უეჭველია, ჩვენი წინანდელი წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში“-ო (V, 202).

ეს პრობლემა ილ. ჭავჭავაძეს სრულებით სამართლიანად საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან ამოცანად აქვს აღიარებული. ის ამბობს: **„აი, საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალწინა ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელ მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ**

უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“-ო (V, 202–203).

მაგრამ **ილ. ჭავჭავაძის** მიერ წამოყენებულ საკითხზე პასუხის გამცემი რომ მაშინ საქართველოში არავინ იყო, ეს მას სხვებზე უკეთ მოეხსენებოდა და, რაკი საქმე ასე იყო, თითონვე სცადა შეძლებისამებრ ამ საგულისხმოსა და დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესახებ თავისი მოსაზრება გამოეთქვა: „თუმცა ჩვენგან დიდი კადნიერებად იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის გამოკვლევას შევსდგომოდით, ამისათვის არც მომზადება გვაქვს, არც საჭირო წყარო-ო, ამბობდა იგი, და მხოლოდ „ფიქრად მოგვდის ორიოდე ასრი, ისიც ვარაუდობით ცნობილი, და ეგონებ მეტი არ იყოს ის ორიოდე ასრი მკითხველსაც გაუსიაროთ“-ო (V, 203).

იმ ეკონომიურ საფუძვლად, რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება შეაძლებინა, ილ. ჭავჭავაძეს მიწისმფლობელობის წესი მიაჩნდა. მისი სიტყვით, ჩვენს ეკონომიურს წყობაში ორგვარი მიმდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სასოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე, – საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო, მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორმასწორობას მიწისმფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა. და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა – მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა. აქედამ **ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც, თუ არ მეფენი, თითონ**

ხალხი მაინცა. ეს იქიდამა სჩანს"-ო, ამბობს ილია, „რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას, რადგანაც ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნოყიერებისა გვარად"-აო. თანაც **„ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოველად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო"**-ო (V, 203–204).

შემდეგ საუკუნეებში, ილ. ჭავჭავაძის სიტყვით, საქართველოს ეკონომიური წესწყობილების ამ კარგს მხარეს „ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორმასწორობა მიწის მფლობელობაში არამცთუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც"-ო (V, 204) და, როგორც ეტყობა, საქართველოს მერმინდელი პოლიტიკური დასუსტების ერთ მთავარ მიზეზთაგანად ჩვენ მგოსანს სწორედ ეს გარემოება მიაჩნდა.

საქმე ის კი არ არის, სწორეა თუ არა თვით ილ. ჭავჭავაძის ზემომოყვანილი განმარტება. აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა.

რაკი ეხლა უკვე ვიცით ილ. ჭავჭავაძის ზოგადი შეხედულება ისტორიისა და ისტორიკოსის უპირველეს მოვალეობაზე, საინტერესოა გაგვეგო, თუ კერძოდ კიდევ **საქართველოს ისტორიის რომელი საკითხები იპყრობდა მის ყურადღებას.**

ილ. ჭავჭავაძე ამბობდა: ყოველ ერს თავისი გამოჩენილი მოღვაწეები უნდა ახსოვდეს, რადგან „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და

გულს, თავის მწერონელს, თავის ღონესა და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს"-აო (V, 208).

ისეთ პირად, რომლის ღვაწლისა და ამაგის დავიწყება საქართველოს არ შეჰშვენის, ილ. ჭავჭავაძეს, რასაკვირველია, დაეით აღმაშენებელიც ძიანსდა და ჩვენთვის სწორედ ის არის საინტერესო, თუ რა მოსასრებით. მისი სიტყვით, **„დავით აღმაშენებლი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა"**, საქართველოს მთლიანობის დამყარებითა და სახელმწიფოებრივობის შექმნით, „არამედ **თავის დიდბუნებოვან კაცობითაც.** იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და... სარწმუნოებისა", იმავე დროს **„დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა"**. ყველაზე უფრო საყურადღებოა, რომ დავით აღმაშენებელი იყო „ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოველად-შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლისა და სარწმუნოების ერისა" (V, 209), როდესაც ის უკვე „სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, აძისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო იმის დიდბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას"-აო (V,211). ამასთანავე განმაცვიფრებელი სწორედ ის გარემოებაა, რომ **დავით აღმაშენებელი „სხვა ერის დირსების თაყვანისმცემელი იყო იმ დროში"**. დავით აღმაშენებლის ამ თვისებას ხომ მარტო ჩვენი ქართველი მემატიანეები არ მოგვითხრობენ, სომეხთა ავტორებიც ამასვე ადასტურებენ. ხოლო, თუ სომეხთადმი დავით აღმაშენებლის ასეთი დამოკიდებულება შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ სომხები ქრისტიანები იყვენ, „დიდბუნებოვანი კაცობრივობა დავით მეფისა" ხომ „მაჰმადიანებსაც ძიეფიხათ". ჩვეხთვის ეს გარემოება და თვისება ძით უფრო საგულისხმოა, „ძით უფრო ბრწყინვალეა ეს

ამბავი, რომ მაჰმადიანები თვით დავით მეფისა და მისი ერის სარწმუნოებას ერისოდნენ აღმოსაფხვრელად“ (V, 210) და, მაშასადამე, მოსალოდნელ გულის-წყრომასაც იყი არ წაეტყეებიაო. აქვე თავისი დებულების დასამტკიცებლად ილ. ჭავჭავაძეს ალ-აინის ცნობა აქვს დამოწმებული, რომელშიც სხვათა შორის აღნიშნულია, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოში „ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები და სადგომი სახლები მოქადაგეთა, სუფიებთა და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა“-ო და საერთოდაც „დავითი უფრო მეტს პატივსა სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“-ო (V, 210–211).

როგორც ხემომოყვანილითგან დარწმუნდებოდით, **ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნამოქმედარში მარტო პოლიტიკური მხარე კი არა, არამედ ამ მოღვაწეობის უფრო მეტად კულტურული გეზი, სხვა ერთა ღირსებისა და უფლების პატივისცემა იზიდავდა.**

საუცხოოდ აქვს მას მათი პოლიტიკის მთავარი ამოცანა მე-XII ს. განმარტებული, როდესაც ივ. ჯაბადარმა თამარის საქართველოს წინაშე ღვაწლის დამცირება სცადა და საბუთად ის მოსაზრება მოიყვანა, ვითომც თამარს ყარსზე გაელაშქრებინოს „ძარტო იმისთვის, რომ თავის ახლად დაბადებულის შვილის, გიორგის ბედი გამოსცადაო და ამისათვის ა'უარებელი სისხლი დაღვარა ტყუილუბრალოდაო“. ილ. ჭავჭავაძე ამ საკითხის გახსილვასაც ხოგადი თვალსაზრისით შეუდგა. ჯერ იმ წყაროს შეეხო, რომლითგანაც ეს ცნობა მომდინარეობდა, მერმე-კი ბეკი ადამიანისაგან თვით ამ ამბის ნამდვილ მიზეზად მიჩნევაზე დაიწყო მსჯელობა. ილია ამბობდა: „იქნება გვითხრან – „ქართლის ცხოვრებაში“ ესე სწერია“,

როგორც ჯაბადარს აქვს ნათქვამიო. „თუნდაც რომ ეწეროს, რა დასაჯერია?!“-ო. სწორედ უცნაურია „ასეთი მალე დაჯერება დაუჯერებლისა იმ კაცისაგან, რომელიც მართლაც არ იჯერებს ცითომ-და უკრიტიკოდ“-ო. „ქართლის ცხოვრებაში“ რაც სწერია, განა ქველაფერის განუსჯელად დაჯერება შეიძლება? **„ნუთუ ძველისძველ საქართველოს მეისტორიემ ეს ანბანი არ უნდა იცოდეს“-ო, ამბობდა ილია, „რომ მას შემდეგ, რაკი სომხეთი შეიმუსრა, სამხრეთით ჩვენი კარი ღია დარჩა მტერთათვის შემოსასევად.** ამ მი'ს'ხით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ, არც ერთი მეფე არ ყოფილა ღირსეული ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისაკენ არ სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ გას'ულიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველო'ს 'შორს გაედგა მოსეენებისა და უშიშროებისათვის, ან მტრისათვის ისეთი 'სარი დაეცა, რომ დიდხანს აღარა შემოებედნა-რა საქართველოსათვის. **ეს იყო პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავდებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობასა. შანქორის ომსაც განჯისაკენ ესეე აზრი ჰქონდა და საჭიროება“-ო** (V, 68).

დაეით აღმაშენებლის, გიორგი მესამის და თამარის დროინდელი სამხედრო პოლიტიკის მი'ს'ნების შესახებ, როგორც ცნობილია, იოს. გედევანიშვილს ჰქონდა 1915 წ. საინტერესო გამოკვლევა გამოქვეყნებული. ურიგო არ არის გავიხსენოთ, რომ არსებითად ამ პრობლემის გაშუქების პირველობაც, ამასთანავე 26 წლით უფრო ადრე, ილ. ჭავჭავაძეს ჰკუთვნებია.

საქართველოს ისტორიითგან ილ. ჭავჭავაძეს შემდეგ ერისთვის თავგანწირულობა ჰხიბლავდა. ცნობილია, რომ მისი ისტორიული პოემის **„დიმიტრი თავდადებული“-**ს დედა-ა'სრი და ს'ულისკვეთება სწორედ ეს არის: ქართველი ერის, უდანაშა'ულო ხალხის

ძიხლოლთა ყაენისაგან გახადგურებას დიმიტრიმ ხომ თავისი სიცოცხლის განწირვა არჩია. დიმიტრი თავდადებულის შემდგომ საქართველოს გმირ პიროვნებათაგან ილ. ჭავჭავაძის ყურადღებას ლუარსაბ მეფის პიროვნება იზიდავდა. აქაც მისი მოღვაწეობის ძშეკნებად ძას ქეყანისათვის იგიც თავგანწირულება მიაჩნდა. უნდა გაეიხსენოთ საქართველოს ის გმირი, რომელმაც „სოქვა: რა მადლია თავი გადავარჩინო და სემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინოო, – წავიდა“ და თავისი თავი ქვეყნის უვნებლობას შესწირაო (V, 219).

მაგრამ ილ. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ გმირობასთან ერთად საქართველოს წარსულს წოდებრივს სიამაყე ჰ ესე და უპირატესობის შენარჩუნების ნიადაგზე აღმოცენებული ბევრი შური და მტრობაც უნახავს. სწორედ ამ თვალსაზრისით აინტერესებდა ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორიითგან გიორგი სააკაძის პიროვნებაც. ის ჩივის, რომ მისი **„მოქმედება და ქცევა დღესაც აუხსნელია ჩვენთა ისტორიკოსთაგან“** და იმისდა მიუხედავად, რომ **ის იყო „უხვად შემკული ყოვლის სამამაცო და საგმირო ღირსებითა,“ მაინც „დღეს-აქამომდე არც ავად არის ჩვენს მიერ დაფასებული და არც კარგადა. მისი ავკარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი,** მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდნი საქმენი, **ჯერ შიგნეულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთვნელს გამკითხველსა“**-ო (V, 215).

გ. სააკაძეზე, როგორც ცნობილია, არჩილ მეფესეც ჰქონდა თავის ისტორიულ პოემაში მოსაზრება გამოთქმული, მაგრამ ამ ადამიანის მოღვაწეობა სხვადასხვანაირად იყო ყოველთვის შეფასებული. ვერა გადაეწყვიტათ მხოლოდ ქართ. ისტორიკოსებს. ილიას კი ძაიხც თავისი მოსაზრება გაკერით გამოთქ-

მული აქეს. ლუარსაბ მეფის „ანანურიშვილის მოყვრობამ და ნამეტნავად ანანურიშვილის ქალის გადმოწყლებამ გული აუმღვრია მაშინდელ დიდებულებს, რომელთაც ითაკილეს ანანურის ქალის დედოფლობა და ბატონობა“. შესაძლებელია ლუარსაბი უბედურებაში სწორედ ამ გარემოებამ ჩააგდო. **„დიდი მოურავი თუმცა ყოველად ნიჭიერი კაცი იყო, ყოველად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იპატიებდა მას მდაბალ-ბუნებიანთა კაცთა შურისაგან. ეს ნაბირალი გრძნობა ადამიანის ავ-ზნიანობისა ბევრს მეტოქეს და მოშურნეს მოუპოვებდა მაშინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდ-ბუნებიანობა“**-ო (V, 216).

ეხლა რომ ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებზე ილ. ჭავჭავაძის მსჯელობასა და იმ წვლილის განხილვას შეუდგეთ, რომელიც მას ამ დარგშიც საქართველოს ისტორიის წინაშე მიუძღვის, ილ. ჭავჭავაძეს, რა თქმა უნდა, ისტორიული კრიტიკაცა და შედარებითი მეთოდიც ისტორიის მძლავრ და აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა, მაგრამ ივ. ჯაბადარის ნაშრომმა დაარწმუნა, რომ მას ვერც ერთი ამ მეთოდთაგანის ვერც დახვეწილება გაუგია და ვერც მათი გამოყენება შესძლებია. რაკი ილ. ჭავჭავაძემ თვითონაც კარგად იცოდა, რომ საქართველოს წარსულის შემსწავლელთა შორის ამ ორი მეთოდის მცოდნე და გამომყენებელი მართლაც არავინ ჩახდა, ივ. ჯაბადართან კამათის დროსაც ილ. ჭავჭავაძე ამას არამცთუ არ უარყოფდა, არამედ თითონაც ადასტურებდა: „არა ერთხელ გვითქვამს და ეხლაც საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჩვენი ავტორი (ე.ი. ივ. ჯაბადარი) **ჩვენს ლიტერატურას უკიჟინებს, კრიტიკა**

და შედარებითი მეთოდი მისთვის უცნობიაო. ეს მართალია“ (V, 134), მაგრამ ილია იმაზე სწუხდა, რომ საუბედუროდ თვით ყიფიანის დამცემიც სრულებით უეცი გამოდგა (V, 27 და 134). რაკი ამნაირად თვით ჯაბადარსაც არც ამის ცოდნა და არც უნარი არ აღმოაჩნდა, აქაც მაშინდელი ქართველი მკითხველისა და მკვლევართათვის ისტორიული კრიტიკისა და შედარებითი მეთოდის განმარტებას თვითონვე შეუდგა. მაგრამ ამაზე საყურადღებო და უფრო მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ მარტო **ამით არ დაკმაყოფილებულა, არამედ ყველას საქართველოს წარსულის შესასწავლად ამ ორი მეთოდის მარჯვედ და ნაყოფიერად გამოყენების რამდენიმე მაგალითიც უჩვენა.**

უპირველესად საგულისხმოა, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოს ისტორიის მაშინდელ მკვლევართ „ქართლის ცხოვრების“ ყოველივე ცნობა სჯეროდათ და იქ ნაამბობს იმეორებდნენ ხოლმე, ილ. ჭავჭავაძე „ქართლის ცხოვრებას“ კრიტიკულად ეპყრობოდა და ყველაფერი, რაც იქ მოთხრობილია, ჭეშმარიტებად კი არ მიაჩნდა, არამედ არა ერთხელ მას იქ ნართული ხოგი ცნობების მცდარობა აღუნიშნავს. შაგ. ის აბრობდა: ქართლის ცხოვრების“ ცხობა დარუბახდის ფრიდოხისაგახ აგების შესახებ სღაპარია, რათგან სხვაგან ასეთი ცნობა არსად მოიპოვებაო (V, 52–53). უეჭველია, რომ „ქართლის ცხოვრებას“ „აურევია სახელები“-ო (V, 53).

ივ. ჯაბადარს ფარხავაზ მეფე, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, საქართველოს უდიდეს და ცენტრალურ პიროვნებად ჰყავდა გამოყვანილი, ილია კი ამბობდა, „არა გვგონია „ქართლის ცხოვრების“ გარეთ, სეეხმა აეტორმა გვეპოვხოს რაიმე ხსენება ფარნავაზისა ჩვენს ხალხში“-ო (V, 60–61). ხოლო

შემდეგ უკვე პირდაპირ ხათქვამია აქვს, „ძალიან შესაძლოც არის, რომ ყოველივე“ ის, რაც **„ქართლის ცხოვრებას“ ფარნავაზზე მოთხრობილი აქვს, „ტყუილიც იყოს“**-ო (V, 62).

შედარებითი მეთოდის სახელი, ილიას სიტყვით, სრულად „არ შეეფერება იმგვარს კვლევას საგნისას, რომელსაც ამ სიტყვით ჰხატავს მეცნიერება ყველა ენებში. ეს-გვარი კვლევა შედარება კი არ არის“-ო, არამედ „სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელიმე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან თავიდამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისთვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი უჩენია“-ო (V, 22).

მეტად საგულისხმოა ილ. ჭავჭავაძის მსჯელობა საისტორიო კვლევა-ძიებისათვის, შედარებითს მეთოდთან ერთად, ლინგვისტიკური ანალიზისა და დაკვირვებით მოპოვებული დასკვნების გამოყენებაზეც. გერმანელი ენათმეცნიერის შადერის ნაშრომზე დაყრდნობით პრეტენზიით ილიამ მიაქცია ყურადღება ქართული სმნის „მართლად გასაკვირველი ფორმების“ სიუხვეს და აზრის გასაოცარი სიმოკლითა და სიმარჯვით გამოთქმისათვის ჩვენი ენის ამ თვისების მნიშვნელობაც კარგად განმარტა (V, 92–95). **მანვე მაშინდელ ქართველ მკვლევართ დაანახა, თუ რაოდენად საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხების გამორკვევაა შესაძლებელი ენის ნამდვილი ანალიზის საშუალებით.** ილ. ჭავჭავაძე ამბობდა: ივ. ჯაბადარს რომ ენის „სარკეში ჩახედვის და ნახვის უნარი რამ ჰქონოდა და ერთი ბეწვა გაგება“, გახა ის უ-ს „გახაზრდის ადგილით გაზომვას“ დაიწყებდა? არა, ის „სხვა გზით დააკვირდე-

ბოდა ჩვენს ენას და სულ სხვა ამბავს გამოჰკითხავდა“-ო (V, 97). მერმე ილ. ჭავჭავაძეს თავისი შემდეგი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული: **„განა ამისთანა სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არ არიან,** მაგალითებრ: **„წყალობა, მიწყალე, მოწყალება“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყლობა“ ნატერისა და ვედრების საგნად გახდომია“.** შუა მდინარესაც რომ თავი დავანებოთ და თუნდაც რომ „მარტო არმენია ავიღოთ, საცა წინათ ბინადრებულა ქართველი და საცა დღესაც „წყლობა“ მართლა ღვთის წყალობაა, იმიტომ, რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ კი არა მოჰყავს-რა“-ო (V, 97), კარგად გვიხსნის, თუ რატომ უნდა მიჰნიჭებოდა „წყალობა“-ს ასეთი მნიშვნელობაო, საუცხოო და გონება-მახვილი დაკვირვებაა!

ან ავიღოთ, განაგრძობს ჩვენი დიდებული მოღვაწე, „სიტყვა **„მიცვალება“, „მიცვალებული“,** რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ნიშნავს, მაგრამ არა სრულად გაარარაჯებას, არამედ „გარდაცვლას“, სხვა სახედ **გადასვლას. ნუთუ ამაში გონების ხელმოსაჭიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან? ან ქალის „გათხოვება“, „მითხოვება“ განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რაღაც ადგილი ჰქონია. განა ეს სიტყვა არ ასურათებს პირველყოფილ ქართველს ცოლქმრობის შესახებ-აო,** კითხულობდა ილია (V, 97–98).

საინტერესოა აგრეთვე ილ. ჭავჭავაძის მსჯელობა ქართველთა სხვა ერებთან კულტურული

ურთიერთობის ლექსიკური მასალის ანალიზის საშუალებით გამორკვევის შესაძლებლობაზეც. იგი ამბობდა: „ვიქვათ, შეგხვდა ქართული ბავშვური სიტყვა „აჩუა". საიდან არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს იმას თუ არა, რასაც ბავშვი ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში ამ სიტყვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვით. თუ კვალში ჩაუდგებით და სხვა ენებს ამ განსრახვით მოვსხრეკთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად açva, სანდურად aspa, ლათინურად equus, ირლანდიურად esh, ლიტვურად aszwa ცხენს ნიშნავს და ყველგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური **„აჩუა". ცხადი არ არის ეხლა, რის ნაშთია და საიდამ წარმომავალია ეს სიტყვა „აჩუა", რომელსაც დღეს ჩვენში მარტო ბავშვი ჰხმარობს, ან ბავშვისათვის ვხმარობთ ცხენის მაგიერ**"-ო (V, 22–23).

თავისი სემომოყვანილი საგულისხმო დაკვირვებების შემდეგ, ილიას სამართლიანად აქვს აღნიშნული: **„ბევრს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენი ენა, თუ რომ ბრმა კაცი და, ჩვენის ავტორსავით ყოვლად უვიცი არ შეხედა"**-ო (V, 98). ლებბოკმა ამ მეთოდითა და ასეთი მასალით პირველყოფილი რწმენის, წესწყობილებისა და კულტურის სურათის აღდგენაც-კი შესძლოო (იქვე) და გახა ქართველი ხალხის წარსულის ასევე აღდგენა არ შეიძლებოდა, სათანადო ცოდნა და ნიჭი რომ ყოფილიყოო, ფიქრობდა ილ. ჭავჭავაძე.

ივ. ჯაბადარის მცდარ დებულებათა კვალდაკვალ გახსილვისას ილ. ჭავჭავაძე არქეოლოგიასა და შედარებითს მითოლოგიასაც შეეხო და აქაც არა ერთი საგულისხმო მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული სნეულებებსა, კაკიმჭამლობასა, წარმართული რწმენის წიხაპართა თაყვანისცემისა და დასაფლავების წესების შესახებაც. ძახვე სცადა გაე-

ა'სრებინა მემატიანის 'სოგიერთი ცნობაცა და ძველს სამარხებში აღმოჩენილი ვითარების შესაძლებელი მი'ნე'სიც განმარტა (V, 23–26, 111–113, 125–126, 142–143, 147 და სხ.).

ყველა 'სეძოძოყვახილი იძედია დაარწ'მუხებს ყველას, თუ **რამდენად საინტერესო ყოფილა ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობა ისტორიის დარგშიც:** როგორც ამ მეცნიერების 'სოგად ამოცანებსა და მეთოდოლოგია'ზე, ისევე საქართველოს ისტორიისა და ისტორიკოსთა ამოცანებსა და სწორი მეთოდოლოგიით მნი'შვნელოვანი შედეგის მოპოვების შესაძლებლობა'სეც ჩვენს დაუეი'ყარს მოამაგეს ფრიად საგ'ულისხმო მოსა'სრებანი პქონდა გამოთქმული. მაგრამ ქართ'ულს მაშინდელ ისტორიოგრაფია'ში ისეთი უმწ'ეო მდგომარეობა იყო, რომ, არამცთუ არსად ჩანდა მკვლევარი, რომელსაც თვითონვე ნათლად გაეთვალისწინებინა, თუ რა იყო უპირველესად გასაკეთებელი და შესასწავლი, როგორი თანდათახობითა და რა სა'შუალებით უხდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიის უამრავი მასალები განხილ'ული, არამედ ილ. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული წერილების შემდეგაც, არავინ აღმოჩენილა, რომელიც ჩვენი სახელოვანი მგოსნისა და პუბლიცისტის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება ეცადოს და მეთოდების გამოყენება შესძლებოდეს. ქართველ ხალხს ანდა'სად აქვს ნათქვამი: „კარგ მოქმელს კარგი გამგონე უნდა"-ო. და, ჩვენდა საუბედუროდ, მაშინ ილ. ჭავჭავაძეს კარგი გამგოხე არ გაძოსჩეხია. მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არ არის?! თუ თავდაპირველად ილ. ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობისა და ქართველთა სა'სოგადოებრივი ა'სრის უცილობელ ბელადად იოველებოდა, წარს'ული სა'უკუნის დაძლევითგახ მოყოლებული, როგორც ცხობილია, თავი

იჩინა ისეთმა მიმართულებამ, რომელიც არამცთუ საზოგადოებრივი აზრის მის ბელადობას სრულებით უარჰყოფდა და მიწასთან გასწორებას ცდილობდა, არამედ პოეზიის დარგშიც კი მისი ღვაწლის მთლიანად გაქარწყლებას ლამობდა. საბედნიეროდ, ამ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოელო და, უეჭველია, მთელი საქართველო გულწრფელ მადლობას უძღვნის იმას, ვისი წყალობითაც ეს საშინელი უსამართლობა მოსპობილია და ილ. ჭავჭავაძის დიდი ღვაწლიც საქართველოს წინაშე ღირსეულად შეფასებულია. ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ მხოლოდ, რომ, **ვინც მომავალში ქართული ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 ს. ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქმნება ისიც აღნიშნოს, რომ ილ. ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს.***

* წაკითხულია მოხსენების სახით, 1937 წ. ენიმკი-ს საჯარო სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავისადმი.

I. მცირე შენიშვნები „უმაგალითო უმადურობისა და საშინელი უსამართლობის“ – შესახებ

ასე ლაკონიურად, მაგრამ ზედმიწევნით ობიექტურად შეაფასა ივანე ჯავახიშვილმა ქართველების დამოკიდებულება თავისი უპირველესი ერისკაცისადმი – ილია ჭავჭავაძისადმი. მეორე მხრივ, დავაკვირდეთ რა ეპითეტებით არ ამკობს მას დიდი ივანე, კაცი, რომელიც თავისი პიროვნული ბუნების გამო, იშვიათად თუ გამოიმეტებდა ქების სიტყვებს ისტორიული პიროვნების დასახასიათებლად: „ქართული კულტურის სწორუპოვარი ბელადი და ხელმძღვანელი“, „ქართული მწერლობისა და ქართველთა საზოგადოებრივი აზრის უცილობელი ბელადი“, „ჩვენი დაუვიწყარი მოამაგე“, „დიდებული პოეტი და პუბლიცისტი“, „ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელი“...

თითქმის საუკუნე გადის ილიას ფიზიკური განადგურებიდან და ვინ იცის რამდენჯერ მოკლეს იდეურადაც წიწამურის შემდეგ, რამდენჯერ უარეყვიით და ზურგი ვაქციეთ ქრისტესავით გოლგოთას გზაზე მიმვალს მძიმე ჯვრით ხელში. ყოველ შემთხვევაში, სამჯერ მაინც – წიწამურიდან 1936 წლის ჩათვლით, როცა მესამედასურმა საქართველომ იგი „თავად-აზნაურული ნაციონალიზმისა და რეაქციის ბურჯად“, „ქართველი ხალხის უბოროტეს მტრად“ გამოაცხადა. გადავიკითხოთ ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძის, პეტრე გელეიშვილის და სხვა ქართველ „ესდეკთა“ მაშინდელი ანტიილიური პასკვილები და ამაში ადვილად დაერწმუნდებით...

1936 წლიდან ილია გამოცხადდა „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის უთვალსაჩინოეს წარმომადგენლად“ (გაზ. „პრავდა“,

4 სექტემბერი, 1936 წ). არა-და, ილიას ყველაზე მეტად სიტყვა „რევოლუცია“ ეჯავრებოდა – ნებისმიერი პრობლემის გადაჭრას და დასახული მიზნის მიღწევას რეფორმებით, მშვიდობიანი გზით ესწრაფოდა. აჯანყება, კაცის კვლა, სისხლი და ცრემლი შორს იდგა ილიასაგან – ერთს ამისთანა მოწოდებას ვერ ნახავთ მასთან. ესეც ილიას ფაქტიური უარყოფაა, რადგან ილია რევოლუციონერი არასოდეს ყოფილა და მიუხედავად იმისა, რომ ილიას შეფასება 180 გრადუსით შეიცვალა, აქაც ილია ილია არ იყო...

ჩვენდა საუბედუროდ, ილია უარვყავით დღესაც. სიტყვით თუ არა, საქმით მაინც, რადგანაც უარყოფილია მისი იდეური მემკვიდრეობის უმთავრესი განძი – „საერთო ნიადაგის“ თეორია, მისი სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები. დაწყებული სახელმწიფო მოწყობიდან, მიწის რეფორმით დამთავრებული, მისი არც ერთი იდეა არ ყოფილა გათვალისწინებული.

„უმადურობა-უსამართლობის“ უცნაური ბედი დასჩემდა დაბადებიდან. აკი, წერდა მამიდამისს: რაც თავი მახსოვს, სიკვდილის ლანდი დამდევს თან – დედა, მამა, და და ორი ძმა. უმცროსი მათგანი საკუთარ ხელში ჩააკვდა...

ასე მწარე ცრემლით მოგვდევს საქართველოს „თანამდევი უკვდავი სული“ დღემდე, უსაშველოდ შეყვარებული თავის „ბედკრულ სამშობლოზე“. სამშობლო ვის არ უყვარს, მაგრამ ლაისტს თუ დავერწმუნებით, მსგავსი მას არსად და არავისთან უნახავს: დარიალთან რომ დავხვდი საზღვარგარეთიდან საქართველოში მობრუნებულს, ნოსტალგიურმა გრძნობებმა ისე იძალა, რომ ცრემლებს ველარ მალავდა თავის ოთარაანთ ქვრივივით ტინიეთ გაუტეხელი და უდრეკი ილია.

დიახ, ცრემლიან-სევდიანი წუთისოფელი ხვდა წილად ყვარლის მთებიდან წიწამურამდე... მაგრამ ყველაზე დიდი კვნესა და სევდა წუთისოფლის დაისთან არგუნა ბედმა: იჯდა კვირეების მანძილზე ხმაამოუღებლივ აივანზე ზეცაზე თვალმიბჯენილი. ისევ ლაისტის დამოწმებით, 1907 წლის თითქმის მთელი აგვისტო რომ მასთან გაატარა საგურამოში: ყველაზე მეტად რაც მისგან ჩამრჩა მეხსიერებაში, ეს არის სიტყვა –„უმადურობა“: არ უჯეროდა მისეულ „ხსნის გზას“ ქართველობა, არ იწამა არაფერი მისი, არ შეისმინა ამდენი ხნის მისი ღაღადი...

არ ვიცით, იცნობდა თუ არა არტურ ლაისტის ამ მოგონებას ივანე ჯავახიშვილი, მაგრამ იმანაც ხომ 30 წლის შემდეგ ზუსტად იგივე შეფასება მისცა „ამ არ შესმენას“. გავიხსენოთ ისიც, რა კონტექსტშია ნათქვამი ეს – ამას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ:

„საბედნიეროდ, ამ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოეღო და უეჭველია, მთელი საქართველო გულწრფელ მადლობას უძღვნის იმას, ვისი წყალობითაც ეს საშინელი უსამართლობა მოსპობილია...“

აქ პიროვნულად ვის გულისხმობს დიდი ივანე, ნათელი და გასაგებია – ეს სტალინია, რომელმაც მართლაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მესამედასელთა მიერ ფიზიკურად და იდეურად უარყოფილი ილიას სახელის (და არა საქმის) რეაბილიტაციაში. მართლაც – „ილიაზე დიდი ქართველი ჩვენ არა გვყავს“, – „ილიას მასშტაბები არ ჰქონდა, თორემ ის მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდა“.

ვისაც ილიას „ცხოვრება და კანონი“, „საპოლიტიკო მიმოხილვა“ და საერთოდ, „საერთო ნიადაგის“ თეორია უკვლევია და შეუსწავლია, ის აუცილებლად დაეთანხმება ამ შეფასებებს – ეროვნული და ზოგად-

საკაცობრიო ღირებულებათა მემკვიდრეობის თვალსაზრისით ილიას, მართლაც, ბადალი არა ჰყავს არა მხოლოდ ქართულ სინამდვილეში და ქართული განსომილებით.

XX საუკუნის მსოფლიო ისტორიამაც ნათელყო ილიას ასროვნების დიდი ძალა, მისი პოლიტიკური ანალიზისა და მომავლის ჭვრეტის საოცარი უნარი. ავიღოთ თუნდაც ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების მისეული ანალიზი („ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი"), იქ თითქმის მათემატიკური სიზუსტით არის პროგნოზირებული მომავლის სავარაუდო მოვლენები, რომელთა შედეგად ამერიკა ბოლოს გადაიქცევა მსოფლიოში ყველაზე უძლიერეს „ზესახელმწიფოდ", ანდა „ანტანტისა" და „სამთა კავშირის" ქვეყნების და მათი მაშინდელი ლიდერების ავანტიურისტული პოლიტიკის არსი, ომისაკენ რომ მიაქანებდა ევროპასა და მთელ მსოფლიოს; ან თუნდაც დღევანდელი „ახალი მსოფლიო წესრიგის" იდეა, რომლის არგუმენტაცია და წარმმართველი ძალა ჯერ კიდევ ილიამ იწინასწარმეტყველა: დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტს საით გაექცევით – კისინჯერისა და ილიას დასაბუთება – დეფინიცია თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა, თითქოს ილია XXI საუკუნეში გადმოგვყოლოდეს...

მაგრამ ილია ჩვენთვის ფასეული უნდა იყოს, პირველ რიგში, ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის მიმართებით. ამ მხრივ უნდა გასწორდეს „უმაგალითო უმადურობა და საშინელი უსამართლობა".

დღეს ყველას პირზე გვაკერია ილიას სახელი, მაგრამ უმადურობა და უსამართლობა მაინც გრძელდება. ილია მხოლოდ სახელად გვჭირდება. სიტყვით,

მცირე გამონაკლისის გარდა, რომლებსაც თვითონ ილია არასდროს უსწავლიათ, მაგრამ რატომღაც ცდილობენ, რომ ჩვენ გვასწავლონ, ყველა ილიელები ვართ, საქმით კი, ნურას უკაცრავად.

ამასვე ადასტურებს თუნდაც ის ფაქტიც, რომ ივ. ჯავახიშვილის ეს გამოკვლევა ილიას მემკვიდრეობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ, მკითხველისათვის ფაქტიურად უცნობია. არადა პოლიტოლოგიური, მათ შორის გამოყენებითი პოლიტოლოგიის თვალსაზრისით, ამაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევა მთელ ილიასმცოდნეობის უამრავ ლიტერატურაში უბრალოდ არ არსებობს. თვით ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობაც რომ ავიღოთ, მას ამ ყაიდის, მისივე სიტყვებით „ისტორიული პერსპექტივის“ თვალსაზრისით გაანალიზებული წარსული და თანადროულობა, სხვა ნაშრომი არა აქვს. სხვა საქმეა, რომ ივანე ჯავახიშვილი სერიოზულად გეგმავდა გაეგრძელებინა ილიას მემკვიდრეობის კვლევა გარკვეული სერიების სახით, მაგრამ ამის განხორციელება მან ვეღარ მოასწრო.

ივანე ჯავახიშვილის ამ ნაშრომის გამოცემა მცირე კომენტარებით სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ ჩვენი ახალგაზრდა მკვლევრების ნიჭიერი თაობა, თავისუფალი დაშტამპული, არტახებში ჩამჯდარი აზროვნებისაგან, მიუბრუნდეს ილიას მრავალმხრივ მემკვიდრეობას და ორიენტირად გაიხადოს ივანე ჯავახიშვილის მიდგომები, შეფასებები, პრინციპები. ჩვენი მხივ კი შევეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ „მომავლის გზისგამკვალავი“ ილიასეული ის ნააზრევი, რომელთა ნაწილი აისახა ივანე ჯავახიშვილის ზემოაღნიშნულ გამოკვლევაში, ხოლო უფრო მეტი ნაწილი მოცემულია ილიას სხვა პუბლიცისტურ-სამეცნიერო ნაშრომებში.

სწორედ საკითხის სისრულისათვის, იმ პრობლემების მეტნაკლებად სრულყოფილი გააზრებისათვის, რომლებსაც შეეხერა თავისი ყურადღება და კალამი ივანე ჯავახიშვილმა, კომენტარებში განხილულია ილიას ის ნაშრომებიც, რომლებიც ვერ აისახა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომში. ამასთან თავიდანვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ილიას მრავალმხრივი თეორიული მემკვიდრეობის და მისგან გამომდინარე ეროვნული იდეოლოგიის კვლევა არ შეიძლება ერთი რაიმე ასპრიათა და მიმართულებით განხორციელდეს.

ქვეყანაზე გლობალური გააზრებით, ეს იქნება ათასეული წლებიდან მომდინარე საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული პროცესის აღდგენა. ეს ძალიან რთული საქმეა, რადგან ბუნებრივ-ისტორიული განვითარების კახოხს არსად და არაფერში ალტერნატივა არა აქვს. ის, რაც ჰერცლმა გააკეთა ებრაელებისათვის, მასზე ადრე „ქართული სახელმწიფოს და ქართული წეს-წყობის" იდეოლოგიური ბაზა მოამზადა ილია ჭავჭავაძემ. არაერთი წინააღმდეგობა, დევნა, შეეწიროება თუ წეცვლა-შერისხვა შეხვდა ილიასათვის ჰერცლს და მთელ სიონისტურ მოძრაობას, მაგრამ მართალი საქმე ყოველთვის იმარჯვებს. ილიას საქმეც მართალი საქმეა, მან გამარჯვებამდე უნდა მიგვიყვანოს.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი საზოგადოების ძალისხმევის უდიდესი ნაწილისათვის ეჭვს არ უნდა იწვევდეს ჭეშმარიტება, რომ ქართული სახელმწიფოს „ახლად შენება" შეუძლებელია XIX-XX საუკუნეების ორი ქვეყანაზე დიდი ერისკაცის მემკვიდრეობის პოლიტოლოგიური კვლევისა და მისი მეცნიერული გააზრების გარეშე. სრულიად ბუნებრივია, რომ საზოგადოების ცხოველ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მათი ურთიერთ დამოკიდებულების, მსოფლმხედველობრივი ხასიათისა და შეხედულებათა ურთიერთდამხვევის

ასპექტები. ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის მიერ თავის დროსე სამოყალიბებული ღირებულებათა სისტემები (ხალ-ხალკე, რა თქმა უნდა, დღესაც გ'ხისგამკვალავი და ღირებ'ულია, მაგრამ ორმაგად ღირებ'ულია ის პრინციპები და დებ'ულებები, რაშიც მათი ა'სრები ერთმანეთს ემთხვეცა და აცსებს. სამწ'ეხაროდ, ილიას მა'შინ შე'ემოკლეს ნათელი სიცოცხლე, როცა მისი მთელი ცხოვრების ნატერა ცხადდებოდა – საქართველოს სწ'ორედ ისეთი „მეისტ'ორიე" მოეკლინა, რა'სეც ილია ოცნებობდა. ვინც ამ ბროშურას გ'ულდასმით წ'აიკითხავს, მისთვის ცხად'სე-უცხადესი იქნება ილიას რეაქცია, ივანე ჯავახიშვილის შრომებს რომ მოსწ'რებოდა. აქ ორი ა'სრი არ შეიძლება არსებობდეს. ივანე ჯავახიშვილმა კი, საფიქრებელია, როცა ის დაწ'ერილებით გაეცნო ილია ჭავჭავაძის ისტორიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალ'ურ გამოკვლევებს, მიუხედავად ილიასადმი მესამედას'ური ინერციისა და ბოლ'შევიკ'ური იდეოლოგიის მძვინვარებისა, 'ხედმიწ'ევით 'ხუსტად წარმოაჩინა ილიას პოლიტიკ'ური მსოფლმხედველობის უმნიშვნელოვანესი ასპექტები.

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ორ ქვეყლა'სე გამორჩე'ულ ერისკაცს პიროვნ'ულ ცხოვრებაში რაიმე უ'შუალო შეხების წ'ერტილი თითქმის არ ჰქონიათ, მაგრამ მემკვიდრეობითობისა და მსოფლმხედველობრივი თვალსა'სრისით, ქართველ მოღვაწ'ეებს შორის ერთმანეთთან ქვეყლა'სე ახლოს ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი დგანან. ამასთან, ორივე მათგანს ისეთ ეპოქა'ში მოუწ'იათ ცხოვრება, სადაც ეროვნ'ული ღირებ'ულებებისა და თვითმყოფადობის დამკვიდრებისათვის ხელსაყრელი პოლიტიკ'ური და სა'სოგადოებრივი გარემო-პირობები არ არსებობდა; მეტიც, ასეთი იდეების მატარებელ კაცს, დევნა-შევიწ'როება არ ასცდებოდა.

მიუხედავად კომუნისტური იდეოლოგიის მონოპოლიისა და ტოტალური ზეწოლისა, 20-იანი წლების ბოლოდან ილიას ეროვნული იდეოლოგია მაინც თანდათანობით გამოცოცხლებას იწყებს. პატრიოტულად განწყობილმა ძალებმა შეძლეს ილიას ნაწარმოებების გამოცემა, თუმცაღა „ნაციონალი'სმისა და რეაქციის ბურჯის" იარლიყი მას კარგა ხანს არ მოშორებია. ამასთან, ილია მაშინაც და, სამწუხაროდ, დღესაც რჩება მხოლოდ „მწერლად" და „საზოგადო მოღვაწედ" და არა ქართული პოლიტოლოგიისა და ეროვნული იდეოლოგიის ფუძემდებლად.

ოფიციალურმა აღიარებამ გ'სა გაუხსნა ილიას მემკვიდრეობის აქტიურ კვლევას. პირველად იქნა ოფიციალურად აღნიშნული ილიას იუბილეც. მის მკვლელობაში ეჭვმიტანილი გ. ბერბიჭაშვილი, რომელიც პერსონალურ პენსიას იღებდა „რევოლუციის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის", მალე გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს. მასობრივი ტირაჟით დაიწყო ილიას მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერების გამოცემა.

ილიას შესახებ დღემდე არსებული ლიტერატურის უმრავლესობა სწორედ ამ რეაბილიტაციის შემდეგ გამოვიდა. ამ ლიტერატურამ 500 ეროვნულს გადააჭარბა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ილიას მემკვიდრეობის შესახებ წმინდა პოლიტოლოგიური გამოკვლევები მხოლოდ ახლა იქმნება. ყველა ავტორი ილიას მხატვრულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობას თავისი ვიწრო პროფესიული კუთხით იხილავდა და ამიტომ თითქმის ვერსად ნახავთ ილიას „საერთო ნიადაგის" თეორიისა და მისი სახელმძღვანელო იდეების პოლიტოლოგიურ ანალიზს, მით უმეტეს კი, მის გამოყენებით დანიშნულებას ახალი ქართული სახელმწიფოებრიობისათვის.

პირველი მკვლევარი, რომელმაც მიზნად დაისახა ილიას მემკვიდრეობის ასეთი პოლიტოლოგიური კვლევა, ივანე ჯავახიშვილი იყო. 1937-1938 წლებში მან მოამზადა რამდენიმე ლექცია ამ მიმართულებით. ბატონ ივანეს განზრახული ჰქონდა ლექციების სპეციალური კურსის შექმნაც, სადაც გადმოცემული იქნებოდა ილიას თვალსაზრისი „საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის შესახებ“. სწორედ ამ კურსის თავისებურ გეგმა-პროექტს წარმოადგენს 1938 წელს გამოცემული მისი ბროშურა – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“. მაგრამ, სამწუხაროდ, სიკვდილმა არ დააცალა მას ბოლომდე მიეყვანა ეს დიდი ჩანაფიქრი. მიუხედავად ამისა, მისი ეს მომცრო მონოგრაფია ბევრ მნიშვნელოვან მასალას შეიცავს ილიას მემკვიდრეობის პოლიტოლოგიური ანალიზისა და ამ საფუძველზე ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში მისი პრაქტიკული გამოყენებისათვის.

II. „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა“.

1. „შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მამა...“

ნიშანდობლივია, რომ ბატონი ივანე მონოგრაფიას იწყებს ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შესწავლის გლობალური საკითხის დაყენებით. ასეთი მიდგომა სრულიად გამართლებულია, რადგან ილიას შეხედულებათა გაგებისათვის, პირველ რიგში მისი აზროვნების წესისა და ზოგადი პრინციპების დადგე-

ნაა აუცილებელი. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ საქართველოს ისტორიისა და ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობისადმი ილიას დამოკიდებულების არსზე და ძირითად მიმართულებაზე. სწორედ ასეთი მიზანი დაისახა დიდმა ივანემ ამ 60 წლის წინათ.

„სრულებით ბუნებრივია, რომ ჩვენი მიზნის მისაღწევად ჯერ ილია ჭავჭავაძის ზოგადი კონცეფციის განხილვით დავიწყოთ, ხოლო შემდეგ მისი მეთოდოლოგიის განხილვაზე გადავიდეთ“.

ბატონი ივანე ზოგადად გადმოსცემს ერის მიერ თავისი წარსული ისტორიისა და მის კანონზომიერებათა ცოდნის შესახებ ილიას ცნობილ შეხედულებებს, ხაზს უსვამს, რომ „ჩვენი კულტურის სწორუპოვარი ბელადისათვის“ ეს ცოდნა მექანიკური ცოდნა კი არ იყო, არამედ იმ მიმართულებით გათავისებული და „გაფილოსოფოსებული ცოდნა“, თუ – „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“. ერის დაცემაც მაშინ იწყება, როცა იგი ყოველივე ამას ვერ გაითვალისწინებს – თავისი მეხსიერებიდან აღმოფხვრის. ბატონი ივანე ასკვნის:

„ამიტომაც არის, რომ ილია ამბობდა: „არ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“-ო.

ეს არის ციტატი, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა ილიას სტატიიდან „დავით აღმაშენებელი“ გადმოიღო და დაბეჭდილი იყო „ივერიაში“ 1888 წლის 26 იანვარს – დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელ დღეს. სრული შთაბეჭდილებისათვის გთავაზობთ ამ ციტატის გაგრძელებას, რათა მთლიანად წარმოჩინდეს ილიას თვალსაზრისი საკუთარი ერის წარმატებული

არსებობა-განვითარებისათვის ისტორიული წარსულის გაცნობიერების შესახებ:

„როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანო, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებლი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს“.

ივანე ჯავახიშვილმა, არჩილ ჯორჯაძის შემდეგ ახალ და არცთუ ამისათვის შესაფერის დროში, პირველმა მიუთითა, რომ ილიას მთელი მემკვიდრეობა, მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კონცეფციების სისტემა, დაფუძნებულია ეროვნულ მემკვიდრეობაზე, მის გააზრება-გაანალიზებაზე. ილიას კვლევის მეთოდოლოგიის არსებით ნიშანს სწორედ ჩვენს ისტორიულ წარსულში შესაბამისი ფაქტებისა და მოვლენების მოძიება წარმოადგენდა ქვეყნისა და ერის წინაშე წამოჭრილი მისი თანამედროვე პრობლემების ანალიზისას.

თავის პუბლიცისტურ ნაწერებში ილია ყოველთვის წინა პლანზე სწევდა და მკითხველსაც არაერთხელ შეახსენებდა, რომ მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა, ამ მსოფლმხედველობის თითოეული ასპექტი თავის მასაზრდოებელ ფესვებს ჩვენი უმდიდრესი ეროვნული მემკვიდრეობიდან იღებდნენ; ამასვე მოუწოდებდა ის ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებსაც, მაგრამ „უცხო ბაძით შეპყრობილი თუთიყუშებისათვის“, როგორც ილია აღნიშნავდა, ეს კედელზე ცერცვის შეყრას ნიშნავდა.

იმ უამრავ შედევრებს შორის, რომლებშიც ილია აღნიშნულ პრობლემას შეეხო თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, გამორჩეულად დგას მისი 1888 წელს გამოქვეყნებული „დ. მ ბაქრაძის ნაშრომის გამო საქართველოს ისტორიაზე“, რომელიც შემდეგ

შევიდა ილიას სტატიების ციკლში „აი ისტორია“. ეს არცთუ დიდი მოცულობის (ილიას ათტომეულის მე-4 ტომში სულ 5 გვერდი უკავია) სტატია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით იმდენად სრულყოფილად გადმოსცემს ილიას შეხედულებებს ისტორიის მნიშვნელობაზე ერის სულიერ და ხორციელ ცხოვრებაში, მისი მრავალმხრივი ფუნქციური დანიშნულების შესახებ როგორც წარმატებულ, ნამეტნავად საქართველოს მდგომარეობაში მყოფი ერისათვის, რომ მასზე დაწერილებით შეჩერება ნამდვილად „მეტი არ უნდა იყოს“. ამასთან ილიას თვალსაზრისი ამ პრობლემებთან დაკავშირებით იმდენად იმპერატიული და ნათელია, რომ მას ვრცელი კომენტარები არ სჭირდება. ერთი საშიშროებაც არის – ილიას ფუნდამენტური შეხედულებების ავტორისეულმა ინტერპრეტაციამ, როგორი კეთილსასურველი განზრახვითაც არ უნდა ხდებოდეს, შეიძლება სრულყოფილად ვერ გადმოსცეს მისი აზროვნების სიღრმე და გადმოცემის საოცარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ლექსიკა და ლოგიკა, ზოგ შემთხვევაში კი დაამახინჯოს კიდეც. ამის გამო ამ სტატიიდან ამონაკრებს მკითხველს მცირედი კომენტარებით ვთავაზობთ.

სტატიის დაწერის ისტორია კი უკავშირდება იმას, რომ დიმიტრი ბაქრაძეს „ივერიაში“ გამოუქვეყნებია საქართველოს ისტორიის მონოგრაფიული გამოკვლევის პროექტი და მკითხველს დაპირებია, რომ ასეთ გამოკვლევას მალე მიიღებდა. ჩვენ არ შეგვხვედრია ილიას ნაწერებში მსგავსი გამოხმაურება – ილია აღფრთოვანებულია დიმ. ბაქრაძის ამ გადაწყვეტილებით. ქებასა და კომპლიმენტებზე ყოველთვის თავშეკავებული, თავის აღტაცებას ვერ მალავს, რომ „ჩვენს დაუღალავ მოღვაწეს“ „სანატრელი სიდიდით შემოუფარგლავს თავისი საგანი“ –

ე.ი. საქართველოს ისტორიის „დიდი და ერცელი სურათის“ შექმნა განუზრახავს და თავად ილია და ყველა „ვისაც კი გაეგება რამ მოუთმენლად მოელიან იმ დღეს, როცა დაიბეჭდება ეს ისტორია, ვითარცა დიდს დღესასწაულს რასმე“.

საკუთარი ქვეყნის ისტორიის შექმნა ერის ყველაზე მნიშვნელოვან, ღირებულ მოვლენად მიაჩნია: „პატივცემულ ბ-ონ ბაქრაძეს... მადლობელი ერი და დავალებული ქვეყანა თავის დღეში არ დაიეიწყებს თვისთა სახელოვანთა კაცთა შორის“ – ასეთი აღიარება, ასეთი დაფასება, გნებავთ ასეთი მოწიწება დაწყებული საქმის ავტორისადმი, მის თანამედროვე მოღვაწეთაგან ილიასაგან არავის რგებია. აღფრთოვანებული ილია ღმერთს შესთხოვს, რომ დ. ბაქრაძემ „კეთილად შეასრულოს ეს სასახელო განზრახვა“ და მართლაც მისი წვლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდია. როცა ამ წერილს კითხულობ ძალაუნებურად გებადება აზრი – „გზააბნეულ თუთიყუშებს“ რომ არ მოესწრაფათ ილიას სიცოცხლე, ის რომ მოსწრებოდა იეანე ჯავახიშვილის მეცნიერული კვლევის თუნდაც პირველი პერიოდის შრომებს, მასზე ბედნიერი კაცი საქართველოში არ იქნებოდა...

მკითხველისათვის რომ უფრო გასაგები იყოს თუ რატომ დაინახა ილიამ დიმ. ბაქრაძის სამეცნიერო მოღვაწეობაში არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ საქვეყნო, ეროვნული, ყველაზე საჭირო და უცილობელი, სასახელო და მამულიშვილური მნიშვნელობა, ილია განაგრძობს:

„ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება აქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის

წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმედისაკა".

ილიას მიაჩნდა, რომ ჩვენი ქვეყანა წარსულის დიდებული ნაშთებით, საამაყო მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებით არის მოფენილი, რომელიც ჯეროვნად არ არის გამოკვლეული და ამის გამო მისი თანამედროვეებისათვის ბევრი რამ გაუცხოებული და გაუგებარია:

„არ არის არცერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა..., რომ რაიმე წარსულის ნაშთი სულ არ შეგვრჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება რა, ვიმეორებთ, იმიტომ, რომ დაეწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და გამმარტებელი ისტორია".

თითქმის 50 წლის მანძილზე ილიას ყოველდღიური ბრძოლის საგანს წარმოადგენდა ჩვენი ისტორიის „ბალავრის ქვების" მოძიება და მის საფუძველზე ახალი ქართული სახელმწიფოებრიობისათვის მყარი საძირკვლის შექმნა. მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის კონსტრუქციის საფუძველს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ასეთი გააზრება წარმოადგენს. ილიას თავის თანამედროვე ქართველობის ყველაზე დიდ ტრაგედიად, რომლისგანაც ბევრი სხვა ტრაგედია მომდინარეობდა, ის მიაჩნდა, რომ „არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით". ილია თავის უპირველეს მოვალეობას იმაში ხედავდა, რომ ჩვეხი უმდიდრესი ეროვნული სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობა, მისი მოღვაწეობის პერიოდში ეკონომიკურად გაჩანაგებული და ეროვნული თვითშეგნების ყველა ატრიბუტს მოკლებული, მოძავალშიც არ დარჩეხილიყო „უქმ და გაძოუქეხებელ გახძად".

ნებისმიერი მისი თანადროული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემის კვლევისას, ასეთი მიდგომა მისი მეცნიერული მეთოდის არსებითი ნიშანია. თანადროულობის ახსნა მხოლოდ წარსულის ყოველმხრივ ანალიზით არის შესაძლებელი, ხოლო მომავლის, ილიასეული „ისტორიული პერსპექტივის", ე.ი. განვითარების სტრატეგიული მიზნების დასახვა და მისი განხორციელება წარსულისა და აწმყოს პოზიტიურ ეროვნულ მემკვიდრეობას უნდა ეფუძნებოდეს:

„წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გაძოწკნობია. ამიტომაც არის ხატქვაში ერთის ბრძენისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებრივი კანონი".

ილიას მიაჩნდა, რომ ისტორია ერის ცნობიერი ცხოვრების განმსაზღვრელი ნიშანია, რომელიც „გაძოსახავს ხოლმე სულიერს და ხორციელს ვიხაობას ერთიახის კრებულისას, ძის ძიძიდულობას, ძის აზრს და საგანს არსებობისას, მის წმინდათაწმინდას, და რომელიც მკის თავისი დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის". ილიამ არა მხოლოდ საკუთარი, სხვა ერებისა და ხალხების ისტორიაც საფუძვლიანად შეისწავლა. მან იცის, რომ ზოგიერთ ერს ხანმოკლე ისტორია აქვს, ზოგი ერი კი ისტორიას მხოლოდ მის თანადროულ ეპოქაში ქმნის. ერი, რომელსაც არა აქვს ისტორია, ილიას უბიხაო კაცს აგონებს, რომელმაც არ იცის ვინ არის, რისთვის

არის, საიდან მოდის და სად მიდის, მათ ისტორიული პერსპექტივა არა აქვთ და „ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხებს ვერ დაინდობს ახლანდელ დროში, და სხვა უფრო ძლიერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა“– ასეთ ხალხს, ვისაც თავისი ისტორია გაცნობიერებული არა აქვს, ილია პირუტყვს ადარებს.

ასევე ეროვნული კრახით დამთავრებას უწინასწარმეტყველებს ილია იმ ერებს, რომლებსაც აქვთ ისტორია, მაგრამ დავიწყებული აქვთ, რადგან ვერ აცნობიერებენ ისტორიული წარსულის მნიშვნელობას, თანადროულობასა და მომავლისათვის: „აღარც ამისთანა ერს აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ, იმიტომ რომ, რა იყო – ის დავიწყებული აქვთ და, მაშასადამე, რა არის – არც ის იცის. არ იცის რა გაიმაგროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა. ფეხქვეშ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღაბებს ხოლმე მამ-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად“.

ილია არ უარყოფს, რომ ერის მეცნიერულ ისტორიასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს წარსულის შენარჩუნებას სიმღერებში და საგალობლებში, ზღაპრებსა და ლეგენდებში, რომელიც ბევრს ანუგეშებს ჭირსა და ლხინში, მაგრამ ისტორიის დავიწყებასთან ერთად მათი ზემოქმედების ძალაც „ნელდება და თანდათან ჰქრება“, რადგან თუ ეს ყველაფერი ისტორიის ცოდნით არ არის შემაგრებული, უსაგნო ზღაპრად იქცევა მოქმელისა და მსმენელის თვალში.

ილიას ღრმად სწამდა, რომ წარსულის ცოდნა, მისი გათავისება აუცილებლად დაეხმარება თანად-

როულ და მომავალ თაობებს „წარხდენილი ქართული წეს-წყობის“ აღდგენაში:

„...შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა – შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი – ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი, რაც უნდა მხნე და გამრჯე იყოს, უხორთუმო სპილოს ემგვანება“.

ილია არასოდეს არ აიდეალებდა საქართველოს წარსულს; იმ გმირობასა და თავგანწირვასთან ერთად, რამაც შემოგვინახა ერი და ქვეყანა, ის ხედავდა იმ უარყოფით ნეგატიურ მოვლენებსაც, რამაც ერთ დროს ძლიერი ერი ისე დააძაბუნა, სხვისი საპატრონო გახადა. მაგრამ ერის ისტორიაში მისი „ფუყე ქვების“ გამომზეურება ილიას იმისათვის კი არ უნდოდა, რომ მისი ზოგიერთი თანამედროვესავით დაეგმო ქვეყნის წარსული და მისი შემოქმედნი, არამედ იმისათვის, რომ თანამედროვეს ესწავლა და მომავალს გაეთვალისწინებინა წარსულის შეცდომები:

„ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით.* ბევრი მაგარი და ბევრი უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი საბუთი თვალწინა გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წაღკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა.

* ზოგ სამეცნიერო პუბლიკაციებში ილია სამი ათას წელს მიუთითებს.

ეს ერთის მხრივ, მეორეს მხრივ – რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა და გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას. რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა – რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი".

2. „... ისტორია იგი დიდებული ტაძარია..."

ცალკე და განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისტორიის მნიშვნელობა ერის პატრიოტული განწყობის ამაღლებასა და განსაკუთრებით „მიძინებული ერის გამოღვიძების" საქმეში. ილია უმტკიცებდა თავის თანამედროვეებს და მომავალ თაობებსაც აფრთხილებდა, რომ იმჟამინდელი საქართველოს მდგომარეობაში მყოფი ერისათვის დადებითი მემკვიდრეობის შესწავლა, მისი გაცნობიერება-გათავისება შეიძლება ის ელექსირი იყვეს, რომელიც ერს და ქვეყანას საღათას ძილისაგან გამოაფხიზლებს და ფეხზე დააყენებს. საქართველოს „ახლად შენების" ისტორიულ და გნოსეოლოგიურ ფესვებს ის „ოქროვანი ხანის" საქართველოში ეძებდა და თუმცა მხატვრულ და პუბლიცისტურ შემოქმედებაში მრავალმა გმირმა თუ თავისი ქვეყნისათვის წამებულმა მიიღო

დამსახურებული ქება-დიდება, უპირველესი ავტორიტეტი მისთვის, მაინც დავით აღმაშენებლი, მისი სახელმწიფოებრივი რეფორმები და სარწმუნოებრივი ტოლერანტობა იყო. წარსულის დიდებული მამულიშვილების მაგალითზე ერის პატრიოტული აღზრდა, მასში დაკარგული „ვინაობის“ აღდგენა, სულიერი ღირებულებების აღორძინება თავის და სხვა მოღვაწეების უპირველეს ამოცანად მიაჩნდა. ბევრჯერ გვითქვია და კვლავაც გავიმეორებთო – საერთოდ ილიას ახასიათებდა იმის გამეორება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნდა და მართლაც მერამდენედ მოძღვრავდა ერს:

„... ისტორია იგი დიდებული ტაძარია, სადაც უწირავს ერთიან სულსა ერისასა და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავის კეთება, მხნევდება, ჰგულოვანდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაძაბუნდება არავითარს ზემოსულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღწვის, გამხნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა და მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში“.

ერის სახელოვანი შვილების, მათი დიდი საქმეების, გამარჯვებებისა და თავგანწირვის მნიშვნელობის დახასიათებისას, ილია აღნიშნავდა, რომ: „დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთვნის ერსა, ზრდის და დიდებულ-

ნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ, თუ ნამეტნავად ის მაგალითები ერისა საკუთარის ისტორიისანი არიან. ერი თავისი გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს".

ილიას სხვა ქვეყნების მაგალითიც მოაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ ყველა სახელოვან კაცს ძეგლს უდგამენ, რომ ერმა, დიდმა და პატარამ გააცნობიეროს და გაითავისოს მათი გმირული საქმეები და მიბაძონ მათ. ილია აღნიშნავს, რომ ბევრი ქვეყნის გამოღვიძება „უგემურის ძილისაგან" დავიწყებული ისტორიის აღდგენით დაიწყო და შემთხვევითი არ არის, რომ ილიასაც სწამს „ასეთი სასწაულმოქმედება ისტორიისა".

ამიტომაც შეხვდა ასეთი მოწონებით და აღტაცებით დ. ბაქრაძის სამეცნიერო საქმიანობის დიდ გეგმებს. ეს მიაჩნდა ქვეყნის და ერის წინაშე დიდ, სახელოვან ღვაწლად და სამსახურად.

ისტორიული წარსულის მეცნიერული შესწავლისა და ერის მიერ მისი გაცნობიერების აუცილებლობის შესახებ ილიას თვალსაზრისი მისი ერთი სტატიის მაგალითზე განვიხილეთ. მაგრამ მკითხველს არ უნდა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ილია ამ პრობლემატიკას მხოლოდ ერთხელ ან ეპიზოდურად ეხებოდა – მისი მოღვაწეობის საწყისი ეტაპიდან სიცოცხლის ბოლომდე, ეს ილიას ყოველდღიური საზრუნავი და საკუთარი ერისადმი საამჯო იყო. ერის საკუთარ „თავთან დაბრუნება", მისი „ვინაობის" რეაბილიტაცია ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის საფუძველი და ძირითადი ასპექტია. მისი საერთო კონცეპტუალური იდეა, რომელიც „ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენებას" და ამით

„ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანებას გულისხმობდა, მხოლოდ სოციალური წინააღმდეგობების შერბილებას კი არა, მასთან ერთად ქართულ ისტორიულ მემკვიდრეობასა და თანადროულობას შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანებასაც მოიცავდა. მას ღრმად სწამდა, რომ საკუთარი ეროვნული ღირებულებების მიმართ გაუცხოებული თაობა ახალ ეროვნულ სახელმწიფოებრიობას ვერ დააფუძნებდა.

ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის ეს ასპექტი, მისი სათანადო გააზრება და პრქტიკული ხორცშესხმა შეიძლება დღეს უფრო აქტუალურია, ვიდრე მაშინ, როცა ილია თავისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის ძირითად დებულებებს ქმნიდა. აქ, ვფიქრობთ, მიუღებული, მით უმეტეს მკრეხელური არაფერია – ილიას ბევრი იდეა, დებულება, პრინციპი, თეორია მის დროს რომ ვერ განხორციელდებოდა, ამას თავადაც ყველაზე მეტად გრძნობდა. ილიას პოლიტიკური რეალიზმი და პრაგმატიზმი არავისგან ესწავლებოდა. ილია მომავალი თაობებისათვის ქმნიდა და ამის გამო უწოდებდა ივნე ჯავახიშვილი ილიას „მომავლის გზისგამკვალავს“, თუ რა თქმა უნდა, ეს თაობები ისევე არ მოექცევიან მის იდეურ საგანძურს, როგორც „უცხო ბაძით“ თვალაბმული წინა თაობები.

1877 წელს, როდესაც მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი და რუსეთის მზარდი ინტერესები ობიექტურად აყენებდა დღის წესრიგში საქართველოს ისტორიული მიწების დაბრუნების საკითხს, ილიამ ყოველკვირეულ „ივერიაში“ გამოაქვეყნა სტატია „ოსმალოს საქართველო“. ილიამ ამ ომს, მის შედეგებს და „აღმოსავლეთის საქმეს“ მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნა, სადაც ევროპაში შექმნილი ძალთა ახლებური ბალანსის გაანალიზების საფუძველზე პირველმა განჭვრიტა საქართველოს ახალი

გეოპოლიტიკური ფუნქცია. ამ უაღრესად საგულისხმო წერილში ილიამ კიდევ ერთხელ „გამგონისათვის“ გაიმეორა ადრე მრავალჯერ ნათქვამი მოსაზრება იმის შესახებ, რომ: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თვისის სულის ძგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას“.

ყველა ერისათვის დამახასიათებელი ამ ზოგადთეორიული და ილიას მიერ მრავალჯერ გამეორებული დებულების შემდეგ ილია სრულიად ორიგინალურ მოსაზრებებს ავითარებს ერის არსებითი ნიშნების შესახებ.

ილიამ ჯერ კიდევ თავის ცნობილ ვრცელ ისტორიულ ნარკვევში „ქვათა ღაღადი“, რომელიც ზოგს ნაციონალისტური და თითქმის ფაშისტური ნაშრომი ეგონა, სინამდვილეში კი „კარგად წამკითხველისათვის“ ის კავკასიის ხალხთა ერთიანობის მანიფესტს წარმოადგენდა, მოგვცა ერის საკუთარი დეფინიცია: „ერი ეს არის... ისტორიით შედუღაბებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“. ეს მოკლე, მაგრამ ერის ყოვლისმომცველი განსაზღვრება, რომლის ანალოგი პოლიტიკურ მეცნიერებაში დღესაც არ მოიპოვება, ჩვენ ამჟამად ერთი ასპექტით გვაინტერესებს. ზემოაღნიშნულ სტატიაში „ოსმალოს საქართველო“ ილიამ „ისტორიით შედუღაბება“, როგორც ერის ფორმირების უპირველესი პირობა და არსებითი ნიშანი კიდევ უფრო განავრცო და განმარტა: „ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა“. „ისტორიით შედუღაბება“, და ილიასეული „ერთიანი ისტორიული ბედი“

ხდება ეთნოსების კონსოლიდაციის საფუძველი, რაც შემდგომ ეტაპზე, გარკვეული პროცესებით განპირობებულ სახელმწიფო ინსტიტუტების წარმოქმნას გულისხმობს.

ნებისმიერი ერის განვითარებაში დგება ეტაპი, როცა მისი განვითარება და ფუნქციონირება აუცილებლობით გულისხმობს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის რაიმე ფორმას და ეს პროცესი – ერის ფორმირება და მისი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ერთმანეთის თანმხვედრია, ურთიერთგანმაპირობებელი, გარკვეულად მიზეზშედეგობრივიც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში პირველადი და მეორადი, „ბაზისი“ და ზედნაშენი“. ილიას მიაჩნდა, რომ: „ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთ ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულოვნობით, ერთგულობით, ძლიერია“.

ისტორიულმა ბედუკუღმართობამ, მის საფუძვლებში ჩაწყობილმა „ფუღე ქვებმა“, როგორც არ უნდა წარახდინოს მისი „წეს-წყობა“, როგორც არ უნდა დაშალოს სულიერი ერთობის საფუძვლები და დააჩაჩანაკოს ერი: „მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს“. ასეთ მრავალმხრივ, შეიძლება სრული საფუძვლით ითქვას, უნივერსალურ ღირებულებად მიიჩნევდა ილია საკუთარი ისტორიული წარსულის შესწავლასა და გაცნობიერებას და შემთხვევითი არ არის, რომ დიდი მადლიერებითა და პატივისცემით მოიხსენიებდა იმ მოღვაწეებს, რომლებმაც ამ მამულიშვილურ საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს.

1892 წელს გამოქვეყნებულ თავის პუბლიცისტურ ნაშრომში „წერილი ქართულ ლიტერატურაზე“, კუთვნილი მიუზღო XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მწერლებს და მოღვაწეებს – ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, განსაკუთრებით გრიგოლ ორბელიანს, რომლებმაც „ჩაუდგეს ქვაკუთხედი იმ ხიდს, რომელიც ჩასტყდა წარსულსა და აწმყოს შუა“, მაგრამ ამ შემთხვევაში, მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ილიას შეფასებებზე მკითხველისათვის შედარებით უცნობი, მაგრამ, ვფიქრობთ, ღირსეული პატრიოტისა და ჩინებული პოეტის, ვახტანგ ორბელიანისადმი. ილია აღნიშნავს, რომ ქართველ მოღვაწეთაგან, საქართველოს ისტორიულ წარსულს ისე „სულით და გულით არავინ მისცემია“, როგორც ვახტანგ ორბელიანი. იმ პერიოდში, როცა ქართველების ცნობიერებაში ერთიანობის გრძნობა დაჩლუნგებული იყო, ილიას ვახტანგ ორბელიანის პოემა „იმედი“ უაღრესად დროულ, საჭირო და სასარგებლო ნაწარმოებად მიაჩნდა:

„ამისთანა ერთგული მოყვარე წარსულისა საჭიროა იქ, საცა იგი დავიწყებულია, იმიტომ, რომ ერის დაცემა იწყება იქიდამ, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა“. ერის ისტორიული ხსოვნის გამოღვიძებას მოახმარა ვახტანგ ორბელიანმა მთელი თავისი პოეტური ნიჭი და საზოგადო მოღვაწეობა და ამიტომ არის დასაფასებელიო – აღნიშნაედა ილია. ისტორიული წარსულისა და ეროვნული მემკვიდრეობის მნიშვნელობის კონცეპტუალურ აღიარებასთან ერთად, ილია ასევე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ წარსულის ცოდნას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ერის კონსოლიდაციის ფუნქციის შესრულება, თუ მას თანადროული პრობლემების ასახსნელად და მომავლის განსაჭვრეტად

გამოვიყენებთ. ასეთი პოლიტიკური პრაგმატიზმი სრულიად გასაგებია, რადგან ილიას არსებული გარემოებები არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ მისი იდეების თუ კონცეფციების განხორციელებას დაუყოვნებლივ შესდგომოდა. ილიას ისტორიული ფესვებისა და ღირებულებების მოძიება იმისთვის სჭირდებოდა, რომ მის თანადროულ და მომავალ თაობებს წარსულის შეცდომები უნდა გაეთვალისწინებინათ.

ჯერ კიდევ 1861 წელს დაწერილ თავის ერთერთ პირველ საპროგრამო სტატიაში „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვის – მიერ „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელიც ამავე წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა, ილია წერდა: „ისტორია იმითია დიდი, რომ გვიჩვენებს წინაპართა ცდომილებას, მასთანავე გვასწავლის ჭკვასა, რომ, ვინიცობაა წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდან ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ“.

ზემოთ უკვე ნახსენებ სტატიაში „დავით აღმაშენებლი“ კვლავ უბრუნდება იმ საკითხს, რომ ერის ისტორიული წარსული, მისი გაკვეთილები, დადებითი და უარყოფითი გამოცდილება უკეთეს დღევანდელობას და, რაც მთავარია, მომავლის პერსპექტივებს უნდა დაეუკავშიროთ:

„რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის-ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის“.

მომავალზე, ქვეყნის პერსპექტივაზე ორიენტირებული წარსული და ისტორია, როგორც მისი ამხსნელი და მასწავლებელი – ასეთია ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის ერთი უმთავრესი ასპექტი, რაც ივანე ჯავახიშვილმა ილიას მრავალმხრივ მემკვიდრეობაში პირველ პლანზე წამოსწია. ილიას განსაკუთრებით აწუხებდა ის გარემოება, რომ ასეთი მრავალმხრივი ფუნქციური მნიშვნელობის მიუხედავად, „ჩვენი ისტორია, ჯერ კრიტიკის ცეცხლში არ გატარებულა და არ გადახალისებულა“.

ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ილიას მხოლოდ ქვეყნის ობიექტური, ნამდვილი ისტორია აინტერესებდა და არა „ხიზილ-პიპილებით“ შემკული დიფირამბები. ამასთან დაკავშირებით ის მიუთითებდა, რომ ილიას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა“. ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე, გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ კოზლოვის „შეშლის“ თარგმანის შესახებ დაწერილ სტატიაში, ილია აღნიშნავდა:

„ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა „ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის მოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამჟაეებული სიყვარულის გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების აღიარება ნახევარი გასწორებაა“.

ილია ნამდვილ „მეისტორიეს“ მას უწოდებდა, ვინც წარსულის სრულიად ობიექტურ სურათს შექმნიდა და ეროვნული ნიშნით დაუმსახურებელი გასვიადება, მხოლოდ დადებითის წარმოჩენა და ნაკლოვანებების მიჩქმალვა მიუღებლად და უზნეობად მიაჩნდა:

„.... ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლიელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყარნი იქნებიან“.

ერის სულიერ ცხოვრებაში, ზოგადად, განსაკუთრებით კი ილიას დროინდელი საქართველოს პირობების გათვალისწინებით ისტორიული წარსულის შესწავლისა და მისი განზოგადების მნიშვნელობის გარკვევის შემდეგ, გასაგებია, რომ ილია უდიდესი კმაყოფილებითა და მხარდაჭერით ხვდებოდა ამ მიმართულებით გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს – ეს იქნებოდა დ. ბაქრაძის განსრახვა საქართველოს ისტორიის მონოგრაფიული კვლევის შესახებ, თუ რომელიმე „უცხოტომელი“ მეცნიერის ამავე პრობლემატიკით დაინტერესება.

ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ილიას გამოხმაურება თბილისში საისტორიო მუზეუმის დაარსებასთან დაკავშირებით. 1889 წელს ილია მიესალმება ამ მუზეუმის დაარსებას, რომლის ინიციატივა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას გამოუჩენია და საამისოდ სიონის ეზოში შესაფერისი შენობაც აუგიათ. აქამდე ბევრი ისტორიული წყარო, საეკლესიო ნივთი და სიგელ-გუჯრები მიმოფანტული იყო სხვადასხვა მისთვის შეუფერებელ ადგილებში, სადაც ფუჭდებოდა და ნადგურდებოდა. არ შეიძლებოდა, რომ ილია ამ მართლაც ეროვნულ საქმეს შესაბამისად არ გამოხმაურებოდა. მან ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის აზრი გამოხატა, როცა თავის გაზეთში აღნიშნა:

„.... ამ მუზეუმის დაარსებას ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიყვარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს“.

3. „ლოგიკამ გზა შეიშალა...“

ივანე ჯავახიშვილი ილიასადმი მიძღვნილ ამ ნაშრომში მკითხველის ყურადღებას ორი მიმართულებით ამახვილებს. პირველყოვლისა ის მიუთითებს ილიას კონცეფციაზე ისტორიის ზოგად საკითხებზე და მეორე „თუ რა წვლილი აქვს ილ. ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორიის შესწავლაშიც შეტანილი“. პირველ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, კონცეპტუალურ საკითხთა რიგში მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ილიას ცნობილმა დებულებამ, რომელიც მისი კვლევის მეთოდის უმთავრეს ასპექტადაც შეიძლება მივიჩნიოთ:

„ნამდვილი ისტორიკოსის მოვალეობა, ილია ჭავჭავაძის რწმენით იმაში მდგომარეობს, რომ რაკი ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და „გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა“, ამიტომაც „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“.

თუ მეისტორიე იმ დროების ქერქში არ ჩაჯდა, გაუგებარი იქნებოდა რაზე შეაკლა მთელმა ევროპამ ჯვაროსნულ ომებს თავი – წერდა ილია. ის, რომ იმ ეპოქის ღირებულებები, მათ შორის რელიგიური, მისი მამოძრავებელი ძალები და ტენდენციები უნდა გაიზიარო და მერე ახსნა მისი შესაფერისი მოვლენები, მიაჩნდა ილიას „ისტორიის ფილოსოფიის ანბანად“, და ვინც ამას ვერ აკეთებდა „ბალღების მოსატყუებლად გაღაღებულ უვიცებს“ უწოდებდა.

ტრაგედიაც, მათ შორის საერო-ეროვნული მასშტაბების დიდი ტრაგედიებიც, მაშინ წარმოიშობა ხოლმე, როცა პოლიტიკოსები და ერის წინამძღოლები ისტორიის ფილოსოფიის ამ ანბანს ივიწყებენ.

ისტორია კი, თავისი ანბანის დავიწყებას არავის აპატიებს. ილია ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ „დროებაზედ უფლება მხოლოდ სულით ძლიერ დიდბუნებოვან კაცთა ხვედრია“, რომ ისინი „თავიანთი ძლიერის მხრებით ამოზიდავენ ხოლმე“ იმას, რაც სამომავლოდ ერის ცხოვრებას წაადგება და წაეშველება.

ილიამ თავის ცნობილ ისტორიულ-სამეცნიერო სტატიათა ციკლში „აი ისტორია“ საკუთარი კვლევის შედარებითი მეთოდიც დაახასიათა:

„კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან სათავიდამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით, და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა“...

ეს მოსაზრება ილიამ გამოთქვა ცნობილ ხალხოსან იუ. ჯანდიერთან სამეცნიერო პოლემიკაში, რომელმაც რუსულ ჟურნალში საქართველოს ისტორიული წარსულის განმაქიქებელი სტატიები გამოაქვეყნა.

ბატონი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ როდესაც რომელიმე ერის ისტორია შესწავლილი არ არის, ისტორიის მაგიერ ხშირად, ერთი მხრით, უგეგმოდ წარმოებული კვლევა-ძიებაა ხოლმე გაბატონებული, მეორე მხრით კი, მიმბაძველობასა და რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იპყრობს ხოლმე ასპარეზს... ჩვენში წარსული საუკუნის 90-იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის ისტორიოგრაფია ბატონდებოდა, რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს ვერც მოეწონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა. აი, მაგალითად, რას ამბობდა ილია ჭავჭავაძე 1880 წელს:

„ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან

სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელი და უცნობია ჩვენგან" (ხასგასმა ივანე ჯავახიშვილისა).

საქართველოს „შიდა-ცხოვრების ფარდის ახდა" სცადა სწორედ ილია ჭავჭავაძემ და ამას ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშად ივანე ჯავახიშვილი ასახელებს ილიას სტატიათა ციკლს – „აი ისტორია", სადაც ილიამ მოგვცა ისტორიის კვლევის და, მასთან ერთად, ამ კვლევის შედეგების აწმყოსთან და მომავალთან მისადაგების მეთოდოლოგია. იგი მიმართული იყო ივ. ჯაბადარის „სქემატიზმისა და მონური მიმბაძველობის, მისი თავაშვებული ნიჰილისტური მსოფლმხედველობის" წინააღმდეგ. გასაგები მიზეზების გამო, აქ ივანე ჯავახიშვილი არ ასახელებს მესამედა-სელთა „სქემატიზმს და მონურ მიმბაძველობასაც", მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ ეს თანაბრად ეხებათ მათაც.

ილია ჭავჭავაძეს, ისე როგორც ივანე ჯავახიშვილს, მარტო ის კი არ ამოძრავებდა, რომ გაებათილებინა საქართველოს ისტორიაზე ჯაბადარის თუ მესამედასელთა ნიჰილისტური შეხედულებანი, არამედ უპირველეს ყოვლისა, ერის ისტორიული განვითარების ზოგად-კანონზომიერებათა დადგენით მომავლის პერსპექტივა განეჭვრიტა. ერის „დაბერების" დრეპერისეული თეორია, ისედაც კომპრომიტირებული იყო. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს:

„ივ. ჯაბადარის ძირითადი რწმენა სქემატიზმისა და მონური მიმბაძველობისა უკვე გამჟღავნებული

იყო... ვითომც ყოველ ერს თავისი ბავშვობისა, ყრმობისა და ჭაბუკობის შემდგომ, აუცილებლად სიბერე ეწეოდეს ხოლმე". მართლაც, ერის ისტორიული განვითარების ასეთი მარტივი სქემატიზმით თუ ვიხელმძღვანელებთ, ყოველ ერს, ისე როგორც ნებისმიერ პიროვნებას, ბავშვობის, ყრმობისა და სიბერის შემდეგ, უცილობელი სიკვდილი უწერია, და, აქედან გამომდინარე, დღეს არც ერთი ერი აღარ უნდა არსებობდეს დედამიწაზე.

„ასეთ სქემატიზმსა და გაზეპირებულ აზრებს ილია ჭავჭავაძემ სულ სხვანაირი შეგნება დაუპირისპირა... მას ისტორიული პროცესის საფუძველი და მამოძრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ მოვლენათა შეფასებაც. ამასთანავე, მისი რწმენით, მთავარი ყურადღება შინაგანს, ე.ი. სოციალურ-ეკონომიკურსა და კულტურის პრობლემებს უნდა მიჰქცეოდა.

ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციით კაცობრიობის პროგრესის სათავე შემოქმედების წყურვილი და ნიჭია..." (ხასგასმა ივ. ჯავახიშვილისა).

მაშასადამე, „გაზეპირებული აზრების" (ადვილი მისახვედრია, თუ ვის და რას გულისხმობს „გაზეპირებულ აზრებში" დიდი ივანე) ნაცვლად და მათ საპირისპიროდ, ილია ჭავჭავაძემ ისტორიული ეპოქის უპირველესი ნიშნების, მისი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლებისა და მამოძრავებელი პოლიტიკური ძალების ყოველმხრივი ანალიზის მეთოდოლოგიური მოთხოვნა დააყენა ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე და ამის არაერთი მეცნიერული ნიმუშიც შექმნა. ასეთივე მეთოდოლოგიურ-მეცნიერული ხასიათის მოთხოვნათა რიგს მიეკუთვნება ილიას კვლევის პრინციპი, რაც ისტორიის განხილვა-ანალიზს აუცილებლად „პროცესის სახით" გულისხმობ-

და. ილიას მეცნიერული კვლევის ამ არსებით ნიშანს ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და მიუთითა, რომ ისტორიის ჭეშმარიტი შესწავლა, ისტორიულ მოვლენათა და პიროვნებათა ნამდვილი ბუნების გაგება შეუძლებელია, თუ ერის ისტორიულ განვითარებას „პროცესის სახით“ არ შევისწავლით, ამ პროცესის ყველაზე ზოგად კანონზომიერებებს არ დავადგენთ და არ გავაანალიზებთ: „რა იყო ჩვენი წარსულის სიმაგრე და რა იყო სისუსტე, სიფუყე, ამის გამორკვევა... ისტორიული პროცესის შეგნებით შეიძლება.“

ივანე ჯაბადარი, სამწუხაროდ, მარტო არ იყო ქართული ეროვნული მემკვიდრეობის განქიქების საქმეში. მას უფრო „მკაცრი“ ოპონენტებიც ყავდა და ილიას არც ერთი უპასუხოდ არ დაუტოვებია. ერის ცნობიერებაში ისტორიული მეხსიერების წაშლა, მისი იგნორირება და უარყოფა გაუფასურების გზით, იმის მტკიცება, რომ ჩვენს წინაპრებს ღირებული არაფერი შეუქმნიათ იმის პირობებს ქმნიდა, რომ უცხოური პოლიტიკური კულტურა და მენტალიტეტი ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში ადვილად დამკვიდრებულიყო.

საკუთარი ერის ფხიზელ დარაჯს, ილიას, ეს მზაკვრული ჩანაფიქრი, რომელსაც ზოგი ქართველი შეგნებულად და გამიზნულად, ზოგი კი მოდას აყოლილი იმისათვის, რომ პროგრესისტისა და ლიბერალის ეთიკეტი დაემსახურებინა პრაქტიკულად ახორციელებდა, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამოპარვოდა. ილია ამ პრობლემას მრავალჯერ დაუბრუნდა, მისი მრავალი შემოქმედიც დამსახურებულად შეამკო, მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მის ერთ სტატიაზე „უარმყოფლობა ჩვენში“, რომელიც 1888 წელს გამოქვეყნდა და, ვფიქრობთ, რომ დღესაც ისევე აქ-

ტუალურია, როგორც მაშინ. ილია ქართული საზოგადოებრივი აზრის დაბნეულობის და ქაოსურობის მკაცრ სურათს ხატავს:

„ლოგიკამ გზა შეიშალა,... ყველაფერი აირია-დაირია... ქვენა-გრძნობანი ზენა-გრძნობათა ადგილას გამეუფდნენ... ყალბი ხალასად გადის და ნაბირალა თავანკარად“ და ა.შ. ამ უიმედო ყოფას არ შეიძლებოდა ილია არ შეეშფოთებინა და არ დაეფიქრებინა. ამ ფასეულობათა გადაფასებისა და ღირებულებების აღრევის მთავარ მიზეზად კი იმას ასახელებს, რომ საკმარისია ჩვენში მეცნიერების სახელით ვინმე გამოვიდეს და ლიბერალობის იარლიყიც მიეწებოს, „არსად იმისთანა უვიცობის ხნული არ დახვდება ფეხის მოსაკიდებლად, როგორც ჩვენში“. უვიცობის, ცრუმეცნიერულობის ასეთ მასშტაბებს საფუძვლად კი ის გააჩნია, რომ „ჭკუა და გული ადამიანისა დღეს-აქამომდე სხვისის ნასუფრალით იკვებება აუწონ-დაუწონავად“ – საკუთარი ეროვნული ღირებულებებისა და ღირსებების უგულებელყოფა, მისი იგნორირება ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ სხვისი ღირებულებების ნასუფრალი დამკვიდრდეს ერის საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

ეს ყველაფერი კი იმის შედეგია, რომ ჩვენში უაღრესად მიმზიდველ მოდად იქცა ყოველგვარი ეროვნულის უარყოფა და ამ უარყოფის უმთავრეს მიმართულებებსაც აანალიზებს; უპირველესად სრულიად ბუნებრივია, ყველაზე არსებით და მტკივნეულ პრობლემას, საქართველოს სახელმწიფოებრივი ტრადიციების უარყოფას იხილავს. უარმყოფელები სწორედ საქართველოს სახელმწიფოებრივი ტრადიციების იგნორირებას ახდენდნენ და მათი ჩანაფიქრი ილიასათვის ნათელი იყო – ის, რაც არასდროს არ გქონია, ამის პრეტენზია არც მომავალში უნდა გქონ-

დეს. ილია მათ საპასუხოდ წერს, რომ ამ ახალმწერლებს, საქართველოს უარმყოფელებს ისე გამოსდით „რომ საქართველოს სამი ათასი წელიწადი უცხოვრია და ამ სამი ათას წელიწადში არც ხელი გაუნძრევია.... არც წესი და რიგი ცხოვრებისა გამოურკვევია, არც არაფრის ცოდნა და გაგება ჰქონია, ერთის სიტყვით, ისტორია არა ჰქონიაო“.

ილია ბუნებრივ და ლოგიკურ შეკითხვას უსვამს ოპონენტებს – თუ ასე იყო, „მაშ როგორ-ღა გაუძლო საქართველომ დღემდე, რას შეუნახავს ამ სამი ათას წელიწადში და რატომ მტვრად არა ქცეულა ამოდენა მტრებ შორის მოქცეული?.....“საამისოდ მათ არავითარი არგუმენტი არა აქვთ. „ახალ მოდის“ უარმყოფელებისათვის მხოლოდ ისტორიული წარსულის უარყოფა კი არა, დიდი პიროვნებების ღვაწლის დაუფასებლობაც დამახასიათებელია, თანაც სრულიად ვულგარული მოსაზრებებით. ილიას მაგალითებიც მოაქვს: აბა შექსპირი რა მწერალია, ამდენი ნაწარმოები შექმნა და „рабочий вопрос“–ი არსად ახსენაო.

ჩვენში კი იმაზე გვიკიჟინებენ, რომ ბატონყმობის წინააღმდეგ არ გამოვიდნენ თავის დროზე ჩვენი მწერლებიო და ილია კიდევ ერთხელ აყენებს საკითხს, რომ ყველა მოვლენა თუ პიროვნება თავის ისტორიულ „ქურქში“ და კონტექსტში უნდა ჩაჯდეს და ისე შეფასდეს. ამის დასამტკიცებლად ასეთი შთამბეჭდავი მაგალითიც მოაქვს: „არისტოტელი არამცთუ სწუნობდა დღეს სამართლიანად გაკიცხულსა და მოსპობილს ბატონყმობას, არამედ იგი უფრო უარესის მონობის მომხრეც იყო. აქედან ის ხომ არ გამოდის, რომ ის ქვეყნის მოღალატეა ან გონებაგანსჯას მოკლებული იყო?“ ილია აღნიშნავს, რომ ამ კატეგორიის მეცნიერებისათვის, მთავარია ის, რომ მათ უარმყოფელის იმიჯი ჰქონდეთ, რადგან ამას

ათანაბრებენ პროგრესულთან, ახალთან. მათ მიაჩნიათ, რომ თუ ყველაფერს დადებითს ჩვენს წარსულში დასცინებენ, დღევანდელ მოღვაწეებს გააბაიბურებენ, ამით გარანტირებული აქვთ „ბრძენი, მცოდნე და ლიბერალი“ კაცის ავტორიტეტი.

ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული სტატიის ანალიზი ილიას „რბილი“ კრიტიკული წერილების კატეგორიას განეკუთვნება. ასეთ კვალიფიკაციას აღნიშნულ წერილს იმიტომ ვაძლევთ, რომ ილია გაცილებით მკაცრი, შეიძლება ითქვას, დაუნდობელი და შეურაცმყოფელიც ხდებოდა, როცა საქმე იმ ავტორებს ეხებოდა, ვინც ქვეყნის ისტორიულ წარსულს არაერთეული პიროვნებების ან ცალკეული ისტორიული პროცესების, ჩვენი „შუქ-ჩრდილების“ ანალიზის პრეტენზიით გამოდიოდა, არამედ მთლიანად უარყოფდა, „გმობდა“ ჩვენი წინაპრების ძალისხმევას მთლიანად. მის განსაკუთრებულ აღშფოთებას, ყოველგვარი ადამიანური ტაქტისა და ზომიერების ზღვარის გადალახვას იწვევდა ის შემთხვევები, როცა ასეთი „გმობა“ გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს, ერის მთლიანობის გათიშვასა და მისი სოციალური ფენების ურთიერთ ანტაგონიზმის გაღვივებას ემსახურებოდა.

ამით იყო გამოწვეული მისი დიდი პირადი უსიამოვნებები, რაც ზოგჯერ პირადი ანგარიშსწორების მცდელობის მიზეზიც ხდებოდა. ამის საილუსტრაციოდ მკითხველს შევთავაზებთ მისი ამ ყაიდის ერთი სტატიის „სანდალას წიგნის გამო“ ანალიზს, რომელიც 1888 წელს დაიბეჭდა. ილიას უკიდურესობამდე აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ ეს სანდალა, გარდა იმისა, რომ მთელ ქართულ ისტორიულ მემკვიდრეობას საერთოდ უარყოფს, ამას აკეთებდა მდაბიოთა, გლეხების, „ქუჩის მუშა ძმაბიჭების“ პოზიციებიდან და მათი სახელით და ამის საფუძველზე წარსულის დიდ

პიროვნებებს, მეფეებს, არისტოკრატიას ქართული საქმის მტრად მოიხსენიებდა. გასაგებია, რომ პრობლემის ასე დაყენება სრულ თეორიულ და იდეოლოგიურ წინააღმდეგობაში მოდიოდა ყველა სასოგადოებრივი და პოლიტიკური ძალის ერთ ნიადაგზე დგომის ილიასეულ კონცეფციასთან.

ვინ იყო ეს სანდალა, ილია არ ასუსტებს. სხვათა შორის მასზე მონაცემები ჯერჯერობით ყველაზე სრულყოფილი ილიას ათტომეულის შემდგენელს, პ. ინგოროყვასაც არ აქვს თავის შენიშვნებში მითითებული. ნურც ჩვენ გამოვეკიდებით მის ვინაობას. გასაგებია, რომ ჯერ სოციალ-დემოკრატიული იდეები და მისი იდეოლოგია საქართველოში დანერგილი არ არის. ეს უფრო სოციალ-დემოკრატიამდელი რომელიმე რეჟოლიციური მიმდინარეობის, უფრო ხალხოსნების „უარმყოფელი“ წარმომადგენელია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მისი „არგუმენტაცია“ და პიროვნება კი არა, ილიას მისდამი დამოკიდებულება გვაინტერესებს.

სტატიას ილია შეკითხვით იწყებს – ღირდა კი კამათი ამ „უწმაწურ“ წიგნზე, იქნებ მხოლოდ „სასაცილო აგდებაც“ საკმარისი ყოფილიყო? და ამ შეკითხვას თავად პასუხობს: მარტო სასაცილო აგდება „ამ უსინდისო, უგონო, უტკბილო და „მოღალატურს“* ნაწერს ვერ ვაკმარეთო“. ილიას ამ შემთხვევაში აწუხებს არა იმდენად ერთი კაცის – თუნდაც „უტკბილო“, „უგონო“ შეხედულებები ერის სამემკვიდრეო ღირებულებებზე, არამედ ის, რომ ასეთი აზრები შეიძლებოდა გაჩენილოყო საზოგადოებაში, რომ ასეთი აზრების მოთხოვნილება გაჩნდა, რომ ასეთ აზრებს ვილაც წაიკითხავს და შეიძლება მხარდამჭერიც გამოუჩნდეს:

* მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ილია ყველა ეპითეტს ბრჭყალების გარეშე ხმარობს, გარდა მოღალატისა. ასეთი იარლიყი მას სანდალასთვისაც არ ემეტებოდა, მაშინ როცა ჩვენს პირობებში, მოღალატე, განსაკუთრებით პოლიტიკურ წრეებში „ყოველდღიური მოხმარების საგანი“ გახდა.

„მაგისთანა კაცთა მოვლენა, როგორიც ბატონი სანდალაა თავისის ნაწერითა, დროთა ნიშანია და ავი დროთაცა, დაგვიჯერეთ“. ილიას აღშფოთებას საზღვარი არ აქვს: „ასე გაუპატიურებული, ასე შეგინებული, ასე უშვერად და ურცხვად ავად ხსენებული ჯერ არავისგან არ ყოფილან ჩვენნი წინაპარნი, ჩვენი წარსული, ჩვენი „წმიდათა-წმინდა“.“ რადგან ავტორმა ასე გალანძღა, ასე გაიმეტა თავისი ქვეყანა და შეურაცხყო მისი „წმიდათა-წმინდა“, შეფასებაც ამ პასკვილისა სრულიად ადეკვატურია:

„მთელი წიგნი ერთი თავმოდგმული ჭუჭყია, ერთი რაღაც მურტალი ტალახია, ყოყლად უმეცრების, ყოვლად უვიცობის და უჭკუობის ფურთხით ურცხვად ასველილი. მოდით და აქ იცინეთ, და მთელის გულის-წყრომით ნუ აიმღვრევით, ნუ აფეთქდებით“. ასეთ მდგომარეობამდე ილია მაშინ მიდიოდა, როცა ვინმეს უვიცობას, უცოდინრობას ემატებოდა ქვეყნის შეგინება და დიდებული, გმირი წინაპრების საძვლეში ჭუჭყიანი ხელების ფათური. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ამ სტატიაშიც და როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში ილია ხმალშემართული რაინდია, ფაფარაშლილი ლომია, რომელსაც არა მხოლოდ კალმით შეუძლიან დაიცვას თავისი ქვეყნის „წმიდათაწმიდა“.

ილია კვლავ ავითარებს იმ აზრს, რომ შეიძლება სანდალა მართლაც არ ღირს ამდენ თავის ტკივილად, ის „როგორც ჩანს მის ნაწერებიდან არაფერზე უფრო არაფერია, არარაზედ უფრო არარაა, მაგრამ საქმე თვითონ სანდალა არ არის. საქმე იგი ცხოვრებაა, რომელიც შესაძლოსა ჰხდის ამისთანა კაცის გაჩენასა და მოვლენასა“.

ილიას ზღვარგასულ აღშფოთებას ისიც განაპირობებს, რომ სანდალა, თავის წიგნში იმით ამაყობს, რომ ის გლეხობის წრიდანაა, მათი „შვილია“ და

თავისი ნააზრევი სწორედ გლეხობის კლასობრივ-ჯგუფური ინტერესების გამომხატველია. მისი შეფასებებიც, მისი მოწოდებებიც მაშინდელ საქართველოში ამ ყველაზე მრავალრიცხოვანი სოციალური ფენისაკენ არის მიმართული. ილიაც სწორედ გლეხობას მიმართავს:

„ნუთუ ჩვენი პატიოსანი და ნამუსიანი გლეხობა იგი ხეა, რომელიც ამისთანა ხილს ისხამს“. გლეხობის პოზიციებიდან საქართველოს ისტორიის გაუკუღმართება, გმირი წინაპრების ღვაწლისა და დამსახურების „გმობა“ – გაბაიბურება იმ მოტივით, რომ ეს წინაპრები გლეხების სისხლის მწოველები იყვნენ, ილიას სრულიად სამართლიანად ახალ პოლიტიკურ „დაკვეთად“ მიაჩნდა ახალი სოციალურ-პოლიტიკური დაპირისპირებისათვის, ისე, რომ შეიძლება მისი შემსრულებელი ამას ბოლომდე ვერც იაზრებდეს. ილია მიუთითებს, რომ ერის ისტორია არ არის ცალკე სოციალური ფენის, ჯგუფის, ერთეული პიროვნებების თუ კლასების ისტორია. ერის ისტორიას ერი ქმნის მთელი მისი სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურების ერთობლიობით და არა მისი ცალკეული წარმომადგენლები:

„ვინც უნდა იყოს, გლეხი, თავადი, ერი თუ ბერი, ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელი ერის ნამოქმედარია, და იგი მამა-პაპა, რომელსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპაა საერთოდ და განუყოფლად, იმიტომ რომ საისტორიო კაცი ხორცია ხორცისაგან მთელის ერისა და ძვალი ძვალისაგან. ამიტომაც, ისტორიაში მოქმედ მამა-პაპის ავად ხსენება გლეხის მამა-პაპის ავად ხსენებაც არის და ამას გლეხი, ვით შვილი ერთისა და იმავე ქვეყნისა, ერთისა და იმავე ერისა, თავის დღეში არ იკადრებს“.

ილია აფრთხილებს გლეხობას, რომ სანდალასნაირი აპოლოგეტები პატიოსანი გლეხის სახელს „უსირცხვილოდ ჰლახავს, ათრევს, პირგახეულად სვრის და თავის უწმინდურობით ატურტლიანებს“. ილია გლეხობას მოუწოდებს, რომ კარგად გაერკვნენ მტერ-მოყვარეში და არ წამოეგონ იმ დემაგოგიურ ანკესზე, რომლებსაც სანდალასნაირი „გულშემატკივრები“ ისვრიან. ის კაცი, რომელიც „გმობს“ თავის ქვეყანას, მის ისტორიულ წარსულს „სახელოვან“ და დიდებულ კაცებს, ამისთანა თქვენი სისხლისა და ხორცის არ უნდა იყოს. იგი სხვა ჯიშისა და მოდგმის კაცია და ერიდნეთ“. ილია იმასაც აღნიშნავს, რომ ვერავინ ვერავის უკიჟინებს, ჩვენი ისტორია, ჩვენი წარსული და მისი საისტორიო კაცნი რატომ არ მოგწონსო — ეს თითოეულის რწმენის საკითხია, მაგრამ ის კია, რომ ეს რწმენა ილიას აზრით ცოდნას უნდა ეფუძნებოდეს და არა მამა-პაპათა ლანძღვას და თრევას, შეგინებას და გაუპატიურებას. ამიტომაა, რომ ილიას იმდენად სანდალა და მისი „ნაჯღაბნი“ კი არ აღელვებს, უფრო მეტად იმ ერისა და საზოგადოების მდგომარეობა, სადაც ასეთი ავტორისა და ნაშრომის მოთხოვნილება შეიძლება გაჩნდეს:

„ვაი სანდალას, და უფრო ვაი იმ საზოგადოებას, იმ ერს, იმ ქვეყანას, საცა სანდალასავით მჯღაბნელები შესაძლებელნი არიან“.

III „გლეხობა ჩვენი ეროვნული იმედების სული და გულია...“

1. „უმამულო, უმიწო კაცი ჩვენში არსად მოიძევებოდა“

უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელმაც ილიას მრავალმხრივ და უმდიდრეს მემკვიდრეობაში, ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე, ივანე ჯავახიშვილის აღფრთოვანება გამოიწვია, იყო მისი მიგნებები საქართველოს წარსულის ეკონომიკის კვლევაში. ის პირდაპირ მიუთითებს, რომ ილიას ქართული აზროვნების ისტორიაში ამ პრობლემატიკის დაყენებისა და კვლევის სრული პრიორიტეტი აქვს და მანამდე ამ საკითხების სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა „აზრადაც არავის მოსვლია“. ეს შეფასება ივანე ჯავახიშვილმა წამოაყენა და დაასაბუთა ილიას სტატიის „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“ ანალიზის საფუძველზე. ჩვენი აზრით, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ სტატიის უფრო დაწვრილებითი განხილვა იმ ეკონომიკური ასპექტების გაცნობის მიზნით, რამაც ივ. ჯავახიშვილი, ეს ბუნებით კომპლიმენტებზე სიტყვაძვირი კაცი, ასეთნაირად მოხიბლა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილი ქვეყნის ისტორიული წარსულის ეკონომიკური პრობლემატიკის კვლევის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ისიც არ იყო შემთხვევითი, რომ მან თავისი მეცნიერული მოღვაწეობის ადრეულ ეტაპებზე სწორედ ამ პრობლემატიკას დაუთმო დიდი ყურადღება და განსაკუთრებული ძალისხმევა.

„ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“ დაიბეჭდა 1880 წელს გაზეთ „დროებაში“, რომელსაც ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძე და ს. მესხი რედაქტორობდნენ. ილია ამ, ისევე როგორც მასზე

შედარებით ადრინდელ და გვიანდელ სტატიებშიც, მკითხველს კიდევ ერთხელ გულისტკივილთ შეახსენებს, რომ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემატიკა შეუსწავლელი იყო. ილიას სიცოცხლის ბოლომდე მიაჩნდა, რომ მიუხედავად მისი თანამედროვე რამდენიმე ისტორიკოსის წარმატებული მცდელობისა, პირველ რიგში, აქ დ. ბაქრაძე იგულისხმება, რომლის ნაშრომებსაც ილია ხშირად ეყრდნობოდა, საქართველოს ისტორიული წარსული მისი თანამედროვე საზოგადოებისათვის გაუცნობიერებელი იყო.

ეს პროცესი, ჩვენი აზრით, გრძელდებოდა იმ პერიოდამდე, როცა ქართულ ისტორიოგრაფიაში დაიწყო დიდი ივანე ჯავახიშვილის ეპოქა. ილია გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „ჩვენი ხალხის და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი... ჩვენი შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდაუხდელია და უცნობი ჩვენგან“, ილიას განსაკუთრებულ შეშფოთებას ის იწვევს, რომ „ჩვენს ისტორიაში... არ არის ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრების შესახებ,... რომელშიც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში“.

ილიას მიაჩნდა, რომ ამ ხარვეზის შევსების საშუალებას არც წერილობითი წყაროები იძლევა, რადგან „ქართლის ცხოვრება“ მეფეთა ისტორიაა..., ხალხი კი როგორც მოქმედი არსი ისტორიისა, ჩრდილშია ჩაყენებული“. ეს მეფეთა ისტორიაც, ილიას აზრით, არასრულია, რადგან მხოლოდ საგარეო პოლიტიკის პრობლემებით იფარგლება და არ ჩანს ქვეყნის „შიდა-საქმეთა“ ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

ამ შესავლის შემდეგ, ე.ი. იმის კონსტატაციის შემდეგ, რომ ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ისტორია

ჯერ კიდევ დაუწერელია, ილია ერთ ისეთ „ისტორიულ მოვლენაზე“ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას, რომელსაც, ილიას აზრით, ვერავინ უარყოფს და თუ ვინმე ჩაკვირვებია ამ მოვლენას, ყველას გაკვირვებას იწვევს. კონკრეტულად, ილია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რასაც მხოლოდ მან, პირველმა ქართველი მოაზროვნეებისაგან მიმართა თავისი ანალიტიკური გონება და რომელმაც ივანე ჯავახიშვილის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

კერძოდ, ილია აღნიშნავს, რომ ქართველ ხალხს ორიათასი წელი უცხოვრია „თავისი ცხოვრებით და თვითმოქმედებით“ და ამ ხნის განმავლობაში ასი წელიც არ ჰქონია ისეთი პერიოდი, რომ „მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედ-მიყოლებით და განუწყვეტლივ“. ილია კიდევ ერთხელ მიუთითებს მის მიერ მრავალჯერ ნათქვამს იმის შესახებ, რომ საქართველომ თავისი ეროვნულობა, სარწმუნოება, სახელმწიფოებრივი „ახლად-შენების“ ტრადიცია ხმლითა და ფარით შეინარჩუნა.

„საქართველო დღედაღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველი მხრიდან მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორიათასი წელი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია“.

ის, რომ საქართველომ თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უდიდესი მსხვერპლი გაიღო, ბევრჯერ იდგა ფიზიკური განადგურებისა და ეროვნული გადაგვარების ზღურბლზე, საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ილიამ ამ პრობლემას სხვა ასპექტი, მანამდე ჯერ კიდევ გამოუცხადებელი, გამოუმჟღავნებელი მოუძებნა და საკითხი სულ სხვა კუთხით დააყენა:

„ვთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, – და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა“.

ეს იყო ის ახალი ასპექტი ქართველი ერის თვითდამკვიდრების, თვითშენახვის და თვითგადარჩენის გლობალური პრობლემატიკიდან, რომელსაც ილიამდე არავინ დაფიქრებულა.

ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში შემოტანილი ამ ახალი ამოცანის ახსნას ილია ყველაზე საშურ საქმედ – ერის ინტელექტუალური ნაწილის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს, თუმცა იმასაც დაასძენს, რომ ქართული საისტორიო წყაროები ამ საქმეში დიდად ვერ დაეხმარება:

„მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს.

უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდან ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში“.

ილიას ქართული ეკონომიკის ისტორიული ფორმების ანალიზი მიაჩნდა უაღრესად საინტერესო და აქტუალურ პრობლემად. ის, როგორც ზემოაღნიშნული ციტატებიდან ჩანს, ამას განიხილავდა ქართველი ერის გადარჩენის ერთ-ერთ ძირითად ფუნდამენტად:

„აი საგანი ღირსშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად“ – მაგრამ რაც მთავარი და

განმსაზღვრელია ილიას მსოფლმხედველობაში, მას ამ პრობლემის შესწავლა მარტო ისტორიული ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით კი არა, აწმყოს ახსნისა და მომავლის პერსპექტივის განსაზღვრის თვალსაზრისით აინტერესებდა:

„ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“. ილიას არა აქვს იმის პრეტენზია, რომ ეს სრულიად შეუსწავლელი რთული პრობლემა ამომწურავად გააშუქოს, რადგან ამის საშუალებას არც მცირე მოცულობის ეს წერილი იძლევა, „არც მომზადება გვაქვს და არც საჭირო წყარო“ – მოკრძალებულად მიუთითებს და ასეთ პირობებში ამ „მძიმე საქმის“ გამოკვლევას თავისთვის კადნიერებად მიიჩნევს. მას უნდა მკითხველს გაუსიაროს ფიქრად მოსული „რამდენიმე აზრი, ისიც ვარაუდობით ცნობილი“, ალბათ უფრო იმათთვის, ვინც ამ საკითხებით სპეციალურად დაინტერესდებოდა და კვლევის ობიექტად გაიხდიდა.

ეს „ორიოდე აზრი“ კი ის არის, რომ საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის განმსაზღვრელი გამუდმებული ომების პირობებშიც კი მიწის საკუთრების ისტორიული ფორმები ყოფილა, რომლებიც, ილიას აზრით, საქართველოში გაცილებით სამართლიანად იყო ორგანიზებული, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამ ტრადიციის გამოძახილად მიაჩნია ილიას ის გარემოება, რომ არა თუ შორეულ ისტორიულ წარსულში, არამედ „დღეს-აქამომდე უმამულო, უმიწო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება“. მიწის ასეთმა სამართლიანმა განაწილებამ მთელი მოსახლეობა მიწათმოქმედებას მიაბა, რამაც საქართველოს კლიმატური და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, დიდი მომავალი მისცა განვითარებისთვის.

სანამ ამ წყობას „ქვეყნის პატრონები“ უფრთხილდებოდნენ, ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძღოლია მტერს ასე თუ ისე – ამ „ღონის“ საფუძველი კი მიწის საკუთრების ფორმებიდან გამომდინარე პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამებაა, რაც ყველა ქვეყნისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტია იყო ადრეც და არის ახლაც. ინტერესთა ურთიერთ დამთხვევის ეკონომიკურ საფუძვლად კი ილია იმას მიიჩნევს, რომ მიწის მფლობელობის ორი ფორმა – სასოფლო და საკომლო არსებობდა. სასოფლო საკუთრებაში იყო მიწის ის ნაკვეთები (გაუყოფელი მამულები, მინდორი, ტყე), რომელიც საზოგადოებრივ საკუთრებაში იყო და მისით მთელ სოფელს შეეძლო სარგებლობა. საკომლო მიწები კომლის საკუთრებას შეადგენდა და ეს უსრუნველყოფდა ჩვენი წინაპრების პირად ინტერესს. ილია მიიჩნევდა, რომ ინტერესების ასეთი ბალანსი, მათი ერთიანობა და „ბედნიერი მორიგება“ უსრუნველყოფდა ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას უაღრესად არახელსაყრელ პირობებშიც კი.

ეს იყო, ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, „საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის“ ის „პირველხარისხოვანი ამოცანა“, რომელიც ილიამ ქართული სამეცნიერო აზრის წინაშე დააყენა. მაგრამ ილიაც კარგად ხედებოდა და ივანე ჯავახიშვილიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამ რთული ამოცანის – ქართული ეკონომიკის ისტორიული ტრადიციის „მაგარი ქვების“ მოძიება შესაბამის სამეცნიერო ბაზას, მაღალ მეცნიერულ ინტელექტსა და ძალისხმევას მოითხოვდა. ამის გამო იყო, რომ ილიამ, „სასხვათაშორისოთ“, „ორიოდე აზრი“ მიაწოდა თანამედროვეებსა და მომავალ თაობებს, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისით, „გზისგამკვალავი“ ორიენტირის როლი უნდა

შეესრულებინა. მოვუსმინოთ ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილს:

„იმ ეკონომიკურ საფუძვლად, რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლების წარმოება შეაძლებინა, ილია ჭავჭავაძეს მიწისმფლობელობის წესი მიაჩნდა. მისი სიტყვით, „ჩვენს ეკონომიკურ წყობაში ორგვარი მიმდინარეობა იყო... ერთი სასოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში მყოფი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე სასოგადო სასოფლო ხმარებაში ყოფილიყო. მეორე — ისე, რომ ყოველივე ეგენი კერძო საკუთრებას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწისმფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა და თუ სასოფლო გაძლიერდებოდა, მაშინ ამ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვრებოდა. აქედამ ცხადია ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ, როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც, თუ არა მეფენი, თითონ ხალხი მაინცა“. შემდეგ ბატონი ივანე აგრძელებს: ეს იქიდამ ჩანსო ამბობს ილია, რომ „ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლოს, რადგან ყველგან საკომლო მამულები განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, და ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნოყიერების გვარად“-აო. თანაც — **„ტყისა და მინდვრის განსაკუთრებულება ხომ ყოველად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენი ხალხის გონებაში ვერ თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე თუ არა სასოფლო“-ო** (ხაზგასმა ივანე ჯავახიშვილისა).

„საქართველოს მოამბიდან“ მოყოლებული, „ივერიის“ უკანასკნელი სარედაქციო წერილით დამთავრებული, ილია ყველგან და ყოველთვის ხაზს უსვამდა ქართველი გლეხის და ქართული სოფლის, მისი

თვითმოქმედების გადამწყვეტ როლს „წარხდენილი ქართველთა სახელისა“ და ქართული წეს-წყობის აღდგენაში: „გლეხობა ჩვენი ეროვნული იმედების სული და გულია“, „ჩვენი ხსნა თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“. ამ ორი თეზისის საფუძველზე ააგო მან „საერთო ნიადაგის“ თეორიის უმნიშვნელოვანესი პრინციპები.

ვინც ქართულ სახელმწიფოს ესწრაფვის, ის ამ თეორიას გვერდს ვერ აუვლის

2. წარსულის „ბალავრის მაგარი ქვები“–

„კომლი“, „კომლის თავის“ ინსტიტუტი და მასზე დაფუძნებული „კომლეული მეურნეობა“, კოლექტიური ინტერესის შემცველი „ხოდაბუნები“ ილიას მუდმივი, განუწყვეტელი კვლევის საგანი იყო. ილია ამ პრობლემატიკაზე განსაკუთრებით ღრმა და ხანგრძლივად დააფიქრა არსებულმა ობიექტურმა რეალიებმა.

კაპიტალიზმის შემოჭრამ საქართველოში აიძულა ეძია მისი გარკვეული ალტერნატივა და ამით ქვეყანა გადაერჩინა უცხო კაპიტალის მონობისაგან. მან კარგად იცის, რომ „... უფულო ერი ფულიანის საძოვარია“ და რომ თუ „თოფიანმა და ხმლიანმა მტერმა ვერა დაგვაკლო-რა“, „საქმით და ფულით მოსული თან გაგვიტანს, ქართველობას სახსენებელს გაგვიწყვეტს“. აქედან გაჩნდა მისი „კომლისა“ თუ „საამხანაგო კორპორაციების“ იდეაც, რადგან კაპიტალი ცალკე კაცს ადვილად მოერევა, მაგრამ „ერთად შეკავშირებულთ – ძნელად“. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთ ქართველ მოღვაწესა და მოაზროვნეს არ უკვლევია ისე ღრმად კაპიტალიზმის არსი

და ბუნება ჩვენი ქვეყნის მიმართებაში, რამდენიც ილიას. შესაბამისად, არც ერთ ქართველს არ მოუცია მისი პრობლემების გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური გზა, როგორც მას. ეს გზა „ქართული წესწყობის“ დამკვიდრებაა ახალ ისტორიულ პირობებში.

ისტორიულად, ძველ საქართველოში მიწათმფლობელობა, მიწათსარგებლობა „ორი ძირითადი მიმართულებით მიიზიდებოდა“ – „საკომლო“ და „სასოფლოსათემო“. ილია ჭავჭავაძე ხაზს უსვამს და მას მთლიანად ეთანხმება ივანე ჯავახიშვილიც, რომ „ჩვენი მეფენიც და თვითონ ხალხიც ძლიერ უფრთხილდებოდნენ“ მიწის საზოგადო-სათემო საკუთრებას და არ აძლევდნენ საშუალებას კერძო საკუთრებას „დაეჩაგრა და მოესპო სათემო-სასოფლო საკუთრება“. სოფელი და თემი (და არა – „რაიონი“)* – სწორედ ამ „ბალავრზე იდგა“ და ამით იწყებოდა კიდეც „საქართველოს ეკონომიკური აგებულება და წყობა.“ დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით მთელი ამ მსჯელობიდან უაღრესად საინტერესოდ, ყოველ შემთხვევაში, „ასრის გასავარჯიშებლად“ მაინც გვეჩვენება „კომლის“, როგორც სისხლით მონათესავე მრავალთაობიანი პატრიარქალური ოჯახის სამეურნეო ფუნქციები.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ სამეურნეო ფუნქციას, რადგან კომლის საოჯახო ფორმას ვეღარ აღვადგენთ და არც არის საჭირო. „კომლი“ დღეს ჩვენ ამ მიზნით კი არ გვჭირდება, არამედ „კიბუცების“ მსგავსი დიდი სამეურნეო-კორპორაციული გაერთიანებების თვალსაზრისით, სადაც შეიძლება კომლისა და გვარის ერთ სამეურნეო ერთეულად გაერთიანება. ილია ოცნებობდა ისეთ დროზე, როცა მთელი საქართველო მო-

* ილიას დროს „რაიონებად“ დღეგანდელი ბიუროკრატიულ-უნიტარისტული დაყოფა არა თუ არ არსებობდა, კორუფციის ერთ-ერთ პირველ წყაროდაც რომ გვევლინება დღეს, არამედ თვით ეს უცხო სიტყვა – „რაიონი“-ც კი უცნობი იყო საქართველოსთვის.

ფინებოდა ასეთი „ამხანაგობებით“, რომლის ეტიმოლოგიურ და ისტორიულ ფესვებს ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ ეძებს და პოულობს კიდეც, ხოლო სამომავლო გამოყენებას კი, სახელმწიფოს მხრიდან სტიმულირების მთელი სისტემის შექმნით და ამ გზით „ქართული წეს-წყობის“ ფორმირებით.

„კომლი“ ფუტკრის სკასავით უაღრესად მაღალ ორგანიზებული დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ფენომენია: სკის „დედის“ როლს აქ „კომლის თავი“ ასრულებს. მას ირჩევენ მისი მაღალი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი მონაცემების საფუძველზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გახდეს ის „გვარის კაცი“. სხვანაირად „მეკომურენი“ მას ასეთად არ აღიარებენ და არც დაემორჩილებიან, მიუხედავად იმისა, რომ იგი მათი ოჯახისა და გვარის წარმომადგენელია.

„კაცისა“და „კაცობის“ მეორე იდეალად ილია განიხილავდა სოფლის და სოფელთან ერთად, მთელი თემის მასშტაბით მოქმედ მაღალზნეობრივ, ფიზიკურად და გონებრივად სრულყოფილ პიროვნებას. „თემის კაცი“ იყო, მაგალითად, ძველ საქართველოში „მამასახლისი“ და „მოურავი“, რომელთაც როგორც წესი, „კომლის თავის“ რიგებიდან ირჩევდნენ. ეს კომლთან ერთად ერთ მთლიან ორგანიზმად კრავდა სოფელს და სოფელთან ერთად, მთელ თემსა და მხარეს. ეს, ქართული სახელმწიფოს „ბალავრის ქვა“და მასთან ერთად, „ეკონომიკური აგებულების“ საფუძველიც, მიაჩნდა ილიას. ის ასევე თვლიდა, რომ „კომლი“, „კომლეული“ და „კომლის თავის“ ინსტიტუტი ქართული სოფლის და ქართული ოჯახის მარტო მატერიალურ სიძლერეს როდი უზრუნველყოფდა. კომლში გაერთიანებული რამდენიმე ათეული სისხლით მონათესავე ადამიანი და მათი „მონაშენი“

სხვადასხვა თაობა, კომლის თავისაგან ერთ სამეურნეო ორგანიზმად შეკრულნი, ერის სულიერ და ზნეობრივ სიმდიდრესაც კვებავდა, ქართველი ხალხის სულიერ წყობას და მთელ ჩვენს ეროვნულ ხასიათს. ეს ქვეყნის თავდაცვის საფუძველიც იყო...

ამ მიწის საკომლო და სათემო-სასოფლო ფორმები ერთმანეთთან ადულებდა და სისხლ-ხორცეულად აკავშირებდა, ერთი მხრივ, ინდივიდის კერძო ინტერესებს და, მეორე მხრივ, სასოფლო-საქვეყნო ინტერესებს. ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის არსიც ხომ ის არის, რომ „ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენებით“, ერთ მძლავრ ეროვნულ ორგანიზმად შეეკრა ჩვენი ქვეყანა. ეს ყველაფერი კი, საბოლოო ჯამში, ეროვნული ცხოვრების ორგანულ მთლიანობას ქმნიდა.

ილია ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ათასმა ბრძენმა ათასი ღამე რომ ათიოს, იმაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებს, რასაც ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარება ქმნის. „კომლის“ ტრადიციულ ინსტიტუტთან ერთად, მას ასეთ წარმონაქმნად „ხოდაბუნები“ მიაჩნდა. მის მრავალ პუბლიცისტურ წერილებში გაფანტული თვალსაზრისის თანამედროვე ინტერპრეტაცია „ხოდაბუნების“ შესახებ, ჩვენ ასე წარმოგვიდგება:

– ბუნებრივ-ისტორიული პროცესით მემარცვლეობა საქართველოში მიწის სათემო-სახელმწიფო საკუთრებისა და სასოფლო კორპორაციების ერთიანი სამეურნეო სისტემით ვითარდებოდა და თუ მისი თანამედროვე ვარიანტები დამუშავდება და გაზიარებული იქნება, ამავე საფუძველზე უნდა განვითარდეს მომავალშიც: „ხოდაბუნური“ კორპორაციების ამ სისტემამ უნდა მოიცვას ქვეყნის ძირითადი მემარცვლეობის რეგიონები;

– „ხოდაბუნების“ ასეთი სისტემის შექმნა სახელმწიფომ თავისი აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიულ მიმართულებად უნდა აქციოს;

– „ხოდაბუნი“, როგორც ამ სისტემის ძირითადი რგოლი, წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე მოქმედ აგროსერვისის კომპლექსურ ფორმას და ძირეულ სამეურნეო ერთეულს შესატყვისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციებით;

– გარდა შრომის იარაღებისა და სამუშაო ძალისა, „ხოდაბუნებს“ შეუძლიათ თავის თავში მოიცვან შრომის ობიექტიც. ამასთან, როგორც კერძო და სათემო-სასოფლო, ისე სახელმწიფო საკუთრების მიწები. ასე რომ, „ხოდაბუნები“ შერეული ტიპის საწარმოს სამართლებრივი ბაზის საფუძველზე შეიძლება აღორძინდნენ დღევანდელ პირობებში.

– სახელმწიფომ, გარდა მის ხელთ არსებული მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა გადაცემისა, თავის თავზე უნდა აიღოს „ხოდაბუნური“ ტიპის ახალი დასახლებების ორგანიზებაც მემარცვლეობის ტრადიციული რეგიონების – ქართლ-კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის მიწის შედარებით ვრცელ და შორეულ მასივებში, პირველ რიგში კი შირაქში, ალაზნის ველზე, ივრისპირეთში, ქართლისა და ჯავახეთის სეგანზე.

თითოეულ ამ რეგიონში ორგანიზებულ ასეთ „ხოდაბუნებს“ უნდა გაეწიოთ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური დახმარება და გამოვყოთ შეღავათიანი სესხები. ეს თავისებური „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი“, უპირველეს ყოვლისა, ზემოაღნიშნულ ახალ ხოდაბუნურ დასახლებებზე უნდა გავრცელდეს. ამასთან, მემარცვლეობის თითქმის ყველა მსხვილი მასივი სამხრეთ საქართველოს საზღვრისპირა მხარეებს მოი-

ცაცს და ამდენად, ასეთი სამეურნეო პოლიტიკა აქ, სადღეისოდ შექმნილ ობიექტურ პირობებში, ხელს შეუწყობს ქვეყნის სამხედრო-თავდაცვითი და დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტასაც.

გაანგარიშებანი გვიჩვენებს, რომ თუ მემარცვლეობისათვის ხელსაყრელ თითოეულ ამ 5 ბუნებრივ-კლიმატურ ზონაში შევქმნით 50-მდე „ხოდაბუნურ" მანქანა-ტრაქტორთა კომპლექსსა და მათ ფილიალებს, მათ შეეძლებათ თავიანთი აგროსერვისით მოემსახურონ 450-500 ათას ჰექტარ მიწას, რაც უახლოეს წლებში მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის მკვიდრ საფუძველს შექმნის.

მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სახელმწიფო მხარდაჭერა „ხოდაბუნებს", ებრაული „კიბუცების" მსგავსად, საშუალებას მისცემს მემარცვლეობის გარდა, დროთა განმავლობაში ხელი მოჰკიდონ გადამამუშავებელი მრეწველობისა და, აგრეთვე, მოცემული რეგიონის სხვა ტრადიციული სამეურნეო დარგების განვითარებასაც.

„ხოდაბუნების" ამ სისტემის შექმნის პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოცემული კონკრეტული მხარისათვის ისტორიულად დამახასიათებელი ხორბლისა და მარცვლეულის სხვა კულტურების ადგილობრივი ჯიშების, აგრეთვე, ტერასული და სამთო მიწათმოქმედების ეროვნული ტრადიციების აღდგენა და მათი აქტიური ჩართვა ეროვნული ეკონომიკის ფორმირებაში. ჩვენმა წინაპრებმა ათასწლეულების მანძილზე გამოიყვანეს საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლეულის ათეულობით ჯიში და ამ ეროვნულ სიმდიდრესაც მომავალში მიხედვა უნდა. ეს განსაკუთრებით ეხება მთისა და მთისპირა პირობებისათვის შეგუებულ უძველეს ეროვნულ ჯიშებს. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს მთისა

და ბარის სხვა სამეურნეო ტრადიციებზეც, რომლებსაც ეპოქის შესატყვისი ფორმების მიცემა სჭირდებათ.

შეიძლება დღეს ეს მოძველებულად ჟღერდეს, ყოველ შემთხვევაში ზოგს რომ ასე მოეჩვენება, ამაში ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით – რიგ ქვეყნებში გათანამედროვებულმა ეროვნული ეკონომიკის ტრადიციულმა ფორმებმა სერიოზული ეფექტი მისცა მის მოსახლეობას. ილიაც იმ აზრის იყო, რომ კომლი და მასთან დაკავშირებული სამეურნეო ინსტიტუტები, „ხოდაბუნები“ ის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, რომელზედაც აშენდებოდა „ახალი საქართველოს ეკონომიკური წყობა“. სანამ ეს „ბალავრის მაგარი ქვა“ მკვიდრად იჯდა ჩვენი ეროვნული ცხოვრების საძირკველში, ქვეყანაც „ღონიერი იყო სულიერადაც და ხორციელადაც“.

ეს რომ ასე იყო, ისევ ივანე ჯავახიშვილის მრავლისმეტყველ სტატისტიკას მოვიშველიებთ: სხვადასხვა, მათ შორის უცხოური წყაროების (არაბული, ბიზანტიური, სომხური) მონაცემებით, საქართველოს ეროვნული შემოსავალი, – დღეს ვინ დაიჯერებს ამას, ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში! ივანე ჯავახიშვილი წერს:

„საქართველო... ფინანსურადაც მდიდარი ქვეყანა იყო. სახელმწიფო სალაროს ყოველწლიური ფულადი შემოსავალი 3 მილიონ 750 000 ოქროს მანეთს უდრიდა. ამავე ხანებში კი, მცირე აზიის შემოსავალიც კი, 2 მილიონ 475 000, არაბეთის ერაყის – 2 მილიონ 250 000 და ფარსის 2 მილიონ 153 460 მანეთს შეადგენდა, ხოლო დასაელეთ ევროპის ქვეყნებიდანაც... ინგლისის შემოსავალი 1300 წელს 4 მილიონ ოქროს ფრანკს, ხოლო საფრანგეთისა 1311 წელს 3 მილიონ ფრანკს არ აღემატებოდა. საქართველოს შემოსავლის ზემოთ აღნიშნული თანხა მხოლოდ ფულადი შემო-

·საველის ოდენობაა. ამას გარდა, მას სულადობრივად დაწესებული შემოსავალიც ემატებოდა“.

ნიშანდობლივი სტატისტიკაა, რომელიც თავისთავად გვკარნახობს ილიას უმთავრეს პოლიტიკურ ლოზუნგს: „ახალ საქართველოს მხოლოდ ძველი საქართველოდან აღმოვშობავთ მკვიდრად“.

ილია ხაზს უსვამდა, რომ „მანამ ქვეყანა ქვეყანას ჰგავდა და ჭკუის მომკითხავი პატრონიცა ჰყავდა, ჩვენს მიწა-წყალს ჩვენთვის სარჩო-საბადებელი არ დაჰნანებია“. მეტიც, ერის ძირითადი მწარმოებელი ძალები ქვეყნის რჩენის გარდა, ექსპორტზე გასატან პროდუქციასაც უხვად აწარმოებდა. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ „ხოდაბუნების“ სისტემაზე დაფუძნებული მემარცვლეობის უძველესი ტრადიციული დარგი მთელ კავკასიას ამარაგებდა მარცვლეული პროდუქტებით. სამთო მიწათმოქმედების, ტერასების და სხვა ტრადიციები და სამეურნეო-ორგანიზაციული ფორმები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების უაღრესად მკვიდრ საფუძვლებს ქმნიდნენ. ეს ზრდიდა და სტაბილურს ხდიდა ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟსაც. აღსანიშნავია, რომ სამიწათმოქმედო იარაღებით, ისე როგორც მევენახეობით, მეხილეობით, მარცვლეული კულტურებით, საქართველო დომინირებულ როლს ასრულებდა კავკასიასა და მთელ ახლო აღმოსავლეთში.

თავი რომ გავანებოთ მარცვლეულს და სხვა სასურსათო პროდუქციას, მაშინდელ მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობდა ხელოსნური წარმოების პროდუქციაც – ყაზვინის ცნობით, საქართველოდან ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში გაჰქონდათ მატყლი, მატყლის ნაწარმი, აბრეშუმის ტანისამოსი, ხალიჩები, ქურქები, სინდიყი.

„იტალიელი მოგზაურის სიტყვით, საქართველოს საექსპორტო ვაჭრობის ერთ-ერთ საგანთაგანს საუცხოო ოქროქსოვილებიც შეადგენდა. ნავთიც კი მაჭონდათ აქლემებით და გემებით საქართველოს სახელმწიფოდან“, – აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი.

ისტორიის გაკვეთილები უცილობლად გვარწმუნებენ და სწორედ ამის საფუძველზე ილიაც გვმოძღვრავდა თანადროულ და მომავალ თაობებს, რომ სერიოზულად ვიფიქროთ წარსული საუკუნეების „ძნელბედობისაგან წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგენაზე“, ეროვნული ცხოვრების საფუძვლიდან იმ „მაგარი ქვების“ გამორჩევასა და გამოყენებაზე, რომელზეც დაფუძნდა და ამოისარდა „ოქროვანი ხანის“ ქართული სახელმწიფოებრიობა. ეს, პირველ რიგში, ეხება მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ჩვენს უმდიდრეს მემკვიდრეობას. კომლი, კომლეულობა, კომლის თავი, ხოდაბუნები, საკომლო და სასოფლო-სათემო მიწათმფლობელობის ეროვნულ ტრადიციებთან ერთად მისი თანამედროვე ფორმებით კვლავ ქვეყნის სამსახურს უნდა დაეუბრუნოთ. სოფელიც და ქვეყანაც ერთობით იყო ძლიერი და ამ ერთობას კი, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით, კომლი, თემი და მასზე დაფუძნებული ხოდაბუნური სისტემა ქმნიდა.

ეს ყველაფერი იმ უდავო ჭეშმარიტებასაც უსვამს ხაზს, რომ ეროვნული ეკონომიკის გარეშე ეროვნული სახელმწიფო არ მოიაზრება. ილია ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ ღვთისაგან ასე უხვად შემკული ჩვენი მიწა-წყლის პატრონ ხალხს „სხვის ხელისშემყურედ არ უნდა გაუხდეს საქმე“, თუ კი სწორ გზა-კვალს მივცემთ ქვეყანას. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ საეკლესიო-სამონასტრო და ინდივიდუალური ქველმოქმედების გარდა, ხაზინის

შემოსავლების მეათედს სახელმწიფო სოციალურად დაუცველ ფენას ახმარდა მუდმივად.

ამიტომაა, რომ ჩვენგან განსხვავებით, ძველ საქართველოში გლახაკი და მათხოვარი იშვიათობა იყო. ქვეყნის მმართველთა ნიჭი და უნარი, მისწრაფება და ძალისხმევა, პირველ რიგში, უნდა აისახოს სახელმწიფო მართლწესრიგის, სოციალური პარტნიორობისა და ჰარმონიის იდეალში, რაც ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის უმთავრესი პრინციპი იყო.

ილია ღრმად ჩასწვდა არა მარტო საქართველოს ისტორიის ფილოსოფიას და ქართველი ერის ფსიქო-გენეტიკურ ფესვებს, არამედ ქართული ენის ისტორიულ-ლინგვისტიკურ და სემანტიკურ საფუძვლებსაც. ცნობილია მისი არაერთი საინტერესო დაკვირვება და ფილოსოფიური წვდომა ქართული ენის ბუნებისა. ამ მხრივ იგი იოანე ზოსიმეს თავისებურ გამგრძელებლად გვეელინება ახალ ისტორიულ პირობებში. ცნობილია ის ფაქტიც, რომ იგი სპეციალური უბის წიგნაკს ატარებდა ხალხში შემორჩენილი ძველი სიტყვა-ზმნების აღნუსხვისა და მათი სხვადასხვა მნიშვნელობის დაფიქსირებისათვის. ივ. ჯავახიშვილი წერს:

„მეტად საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის მსჯელობა... ლინგვისტიკური ანალიზითა და დაკვირვებით მოპოვებული დასკვნების გამოყენებაზეც. გერმანელი ენათმეცნიერის შრადერის ნაშრომზე დაყრდნობით, პირველად ილიამ მიაქცია ყურადღება ქართული ზმნის „მართლაც გასაკვირველი ფორმების“ სიუხვეს და აზრის გასაოცარი სიმოკლითა და სიმარჯვით გამოთქმისათვის ჩვენი ენის ამ თვისების მნიშვნელობაც კარგად განმარტა... ილია ჭავჭავაძეს თავისი შემდეგი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული:

„განა ამისთანა სიტყვები, რომელნიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არ არიან, მაგალითებრ: „წყალობა“, „მიწყალე“, „შემიწყალე“, „მოწყალება“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყალ-ი ნატერისა და ვედრებისა საგნად გამხდარა“ (ხაზგასმა ივანე ჯავახიშვილისა). საუცხოო და გონებამახვილი დაკვირვებაა!“

ილია „ენის დაკითხვის“ კიდევ ბევრ სხვა საინტერესო მაგალითებს გვაძლევს და ამით ქართულ ენას თავისებური ისტორიული კვლევა-ძიების ფუნქციასაც ანიჭებს. ვაჟა-ფშაველას მსგავსად, განსაკუთრებით დიდ შესაძლებლობებს ხედავდა იგი ამერიმერის მთაში შემორჩენილ ქართველური ენების დიალექტებში. ქართული ენის სიმდიდრის ნიმუშად მოჰყავდა მას სიტყვა „გარდაცვალება“.

„იგი ნიშნავს არა სრულიად გაარარაგებას, არამედ სხვა სახედ გარდასვლას. ნუთუ ამაში გონების ხელმოსაჭიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვია?... ბევრ ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენი ენა, თუ რომ ბრმა და... ყოველად უვიცი კაცი არ შეხვდა“-ო. (ხაზგასმა ივანე ჯავახიშვილისა).

რა ზოგადი დასკვნები შეიძლება გამოიყვანოს კაცმა ყოველივე ზემოთქმულიდან?

უპირველეს ყოვლისა ის, რომ ილია ჭავჭავაძე არის ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარებაში პირველი, ვინც თვალი და აზრი მიაპყრო „ძნელბედობისაგან“ დაკარგულ ჩვენს ეროვნულ ფესვებს და ნათელხილვურად ჩასწვდა მათ დიდ

სამომავლო მნიშვნელობას. მონოგრაფიის დასკვნაში ივანე ჯავახიშვილი კიდევ ერთხელ გვახსენებს როგორც თავისი დიდი წინამორბედის ამ ისტორიულ მისიას, ასევე მის დამსახურებას ისტორიული მეცნიერების ზოგად მეთოდოლოგიური პრობლემებისა და კონკრეტული ისტორიული მოვლენებისა და პროცესების შესწავლისა და ანალიზის საქმეში;

„ყველა ზემომოყვანილი, იმედია დაარწმუნებს ყველას, თუ რამდენად საინტერესო ყოფილა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ისტორიის დარგშიც: როგორც ამ მეცნიერების ზოგადს ამოცანებსა და მეთოდოლოგიაზე, ისევე, კერძოდ, საქართველოს ისტორიისა და ისტორიკოსთა ამოცანებსა და სწორი მეთოდოლოგიით მნიშვნელოვანი შედეგის მოპოვების შესაძლებლობაზეც... ჩვენს მოსაგებს ფრიად საგულისხმო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული“.

აქვე ბატონი ივანე ჯავახიშვილი ჩვენს დასარწმუნებლად და დასამოძღვრად კიდევ ერთ საგულისხმო ვითარებას უსვამს ხაზს ილიასა და საქართველოს ურთიერთმიმართების თვალსაზრისით:

„ქართველ ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი: კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“-ო. და, ჩვენდა საუბედუროდ, მაშინ ილია ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია. მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არ არის?!“

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამ კითხვის დასმა – საუკუნეებგამოვლილი ხალხური სიბრძნის შეხსენება კიდევ დაგვჭირდეს სამომავლოდაც: ილიას მემკვიდრეობა კლავაც არ უნდა დაგვრჩეს უქმ და გამოუყენებელ განძად. მხოლოდ მაშინ დასრულდება ის „უმაგალითო უმადურობა და საშინელი უსამართლობა“, რომელსაც ვიჩენდით ილიას მიმართ წიწამურიდან დღემდე.

Омар Гогиашвили, Элберд Батиашвили

Идеологи грузинского государства

Резюме

Среди многочисленной и разнообразной литературы о творческом наследии И. Чавчавадзе, в которой рассмотрены его литературные, эстетические, педагогические, экономические, политические взгляды, идеи и широкий спектр теорий, особое место занимает опубликованная в 1938 г. малообъемистая монография И. Джавахишвили "И. Чавчавадзе и история Грузии". Эта была первая и на протяжении долгого времени последняя попытка беспристрастной, объективной оценки некоторых аспектов наследия И.Чавчавадзе. Если учесть тоталитарный характер политической системы и общества, ситуацию массовых политических репрессий того времени, а также и то, что во главе системы стояли физические и идейные убийцы И.Чавчавадзе, то правдивое слово об И.Чавчавадзе равнозначно было гражданскому героизму и самопожертвованию.

К сожалению, наше современное общество мало знает об этой работе И.Джавахишвили. Вследствие этого мы сочли необходимым вновь её издать с целью более полного осмысления тех проблем, на которые свое внимание обратил И.Джавахишвили, в комментариях к ней рассмотрены и те работы И.Чавчавадзе, которые не нашли своего отражения у И.Джавахишвили. Естественно, особый интерес у общества вызывают аспекты родства и взаимного совпадения мировоззрений и идей двух выдающихся мыслителей и деятелей последнего двухсотлетия. В перманентном процессе строительства новой грузинской государст-

венности эти аспекты составляют "золотой фонд" национального наследия.

Во введении своей монографии И.Джавахишвили вначале рассматривает общие принципы и концепции наследия И.Чавчавадзе, и только после этого методологические вопросы.

И.Джавахишвили, не совсем для себя в благоприятное время, первым указал, что все наследие И.Чавчавадзе, его система политических, правовых, экономических и социальных концепций основаны на национальном наследии, на его осмыслении и анализе. В своих научных и публистических писаниях И.Чавчавадзе всегда на первый план выдвигал положение, и об этом он неоднократно напоминал читателям, что питательные корни каждого аспекта его политического мировоззрения свое начало берут из богатейшего национального наследия. Созданию объективной истории своей страны И.Чавчавадзе придавал не только научное, но также большое общественное значение.

Основой конструкции политического мировоззрения И.Чавчавадзе представляло такое осмысление прошлого, настоящего и будущего, которое должно было создать твёрдый фундамент будущей грузинской государственности. Согласно его методологии исследование современных ему проблем возможно только путём анализа соответствующих прошлых исторических явлений и процессов, а выработка и осуществление стратегических целей будущего должно основываться на позитивном наследии прошлого и настоящего. Вместе с тем, И.Чавчавадзе не идеализировал прошлое Грузии. Наряду с героическим самопожертвованием он видел и те негативные явления, которые привели к ослаблению когда-то могущественной нации и обрекли её на милость других государств.

Особенно следует отметить взгляды И.Чавчавадзе на значение знания отечественной истории в деле пробуждения "заснувшей нации", повышения патриотического настроя. Его общая концептуальная идея – "направление всех общественных сил в одно русло", восстановление "разрушенного моста", но также и восстановление "разрушенного моста" между историческим наследием и современностью. Он глубоко верил, что отчужденное от собственных национальных ценностей поколение неспособно основать новую грузинскую государственность. И не случайно, что И.Чавчавадзе в своем известном лаконичном и беспрецедентно объемистым определении нации на первый план выдвинул исторический аспект. А именно "историческую сплавленность", которая ему представлялась как первое и основное условие формирования нации. Эту "историческую сплавленность" И.Чавчавадзе считал более существенным фактором формирования нации, чем общность языка, веры и родство.

И.Джавахишвили особо, вместе с тем с определенной предостороженностью /и это вполне понятно/ указывал, что работы И.Чавчавадзе по исторической тематике в основном являлись ответом на "научные" пасквили, ставивших своей целью обесчестение, охаивание исторического прошлого грузинского народа. Стирание исторической памяти в сознании нации, её игнорирование и обесценение посредством утверждения, что наши предки ничего ценного не создали, являлись условием утверждения и навязывания чужой политической культуры и менталитета в духовной жизни нации. И.Чавчавадзе как верный страж своего народа, беспощадно изобличал некоторых своих соотечественников, которые сознательно и целенаправленно, либо своей приверженностью духу "от-

рицания" , либо под влиянием "моды", старались вытравить из памяти народа своё историческое прошлое, все положительное в национальном наследии. Начиная с первых дней своей деятельности и до конца жизни, И.Чавчавадзе непреклонно и достойно защищал историческое наследие, национальные ценности своего народа и готов был за это пожертвовать жизнью. Особенно непреклонным и нетерпимым он был тогда, когда отрицание и "осуждение" исторического прошлого служили определенным политическим целям, расколу нации и нарастанию антагонизма между социальными слоями общества. Все это в корне противоречило его теории "общей почвы".

Особый восторг вызывали у И.Джавхишвили догадки И.Чавчавадзе относительно экономики исторического прошлого Грузии. Он прямо указывал, что в этой области в постановке проблем и их исследовании приоритет принадлежит исключительно И.Чавчавадзе; включение в научный оборот этих проблем заслуга И.Чавчавадзе и до него "никому и в мысли не приходило" исследовать экономический аспект истории Грузии. То, что Грузия на протяжении многовековой истории неоднократно стояла на грани физического уничтожения, национального перерождения и, несмотря на это, сохранила свою государственность, веру и национальность самоотверженной борьбой, "щитом и мечом", было известно и до И.Чавчавадзе. Однако он этим не ограничился и к проблеме выживания подыскал совершенно новый аспект – экономический аспект. Допустим, указывал И.Чавчавадзе, десница и сердце народа выдержали эти войны, но что питало постоянно воюющего народа, какая экономика выдерживала постоянные войны? По его мнению, определителем мощи экономики Грузии были исторические формы земельной соб-

ственности, более справедливо организованные у нас, чем в других странах. В частности, здесь И.Чавчавадзе имел в виду следующее обстоятельство: вследствие того, что в Грузии не было безземельных людей, все население оказалось привязанной к земле. А это, при благоприятных климатических и других естественных условиях Грузии, обеспечивало высокую урожайность. Две основные исторические формы земельной собственности – сельско-общинной и семейно-крестьянской /"комли"/ обеспечивали единство личных и общественных интересов, что в свою очередь являлось гарантией политической стабильности страны.

С проникновением капитализма в Грузию, страна встала перед лицом новой реальности. В связи с этим И.Чавчавадзе ищет новые аспекты для спасения страны от порабощения чужим капиталом. И здесь, как и в других случаях, И.Чавчавадзе выход ищет в исторических и национальных формах. А именно в "комли", т.е. в хозяйстве многопоколейной патриархальной крестьянской семьи, насчитывающей несколько десяток людей и их потомков, и "ходабуни", т. е. в сельском общинном пашенном земледелии. Эти исторические национальные формы становятся постоянными объектами исследования И.Чавчавадзе. "Комли", считал И.Чавчавадзе, являлся не только важной формой хозяйствования, но и питательной средой национального нравственного богатства, формирования национального характера грузинского народа.

"Ходабуни", наряду с "комли", И.Чавчавадзе рассматривал как наиболее эффективную форму хозяйства, которая функционировала в зерновых районах и полностью удовлетворяла потребности как Грузии, так и всего Закавказья. И.Чавчавадзе неоднократно утверждал, что эти тра-

диционные формы хозяйства могут стать основой построения "экономического строя новой Грузии".

В упомянутой монографии И.Джавахишвили не оставил без внимания и другие проблемы научного искания И.Чавчавадзе. В частности, проблемы грузинского языка /особенно глагола/, национальных традиций и "узаконенных" обычаев. И.Джавахишвили с полным основанием и горечью отмечал, что ни тогда, ни после, в течение долгого времени никто не нашелся, чтобы "прислушаться" к И.Чавчавадзе.

Omar Gogiashvili, Elberd Batiashvili

The ideologists of the Georgian state

Summary

The monograph "Ilia Chavchavadze and the history of Georgia" published by Ivane Javakhishvili in 1938 has great importance in different scientific literature devoted to the creative heritage of Ilia Chavchavadze. The latter includes his literary, esthetical, pedagogical, economical, social, political views, ideas and theories. In the conditions of the totalitarian society it was the first and the last long-time attempt for objective estimation of some aspects of Chachavchavadze's creative heritage. If we take the then political system, regime of mass repressions and presence of ideological opponents of Ilia Chavchavadze in

the power of the mentioned system into consideration the above mentioned monograph by Ivane Javakhishvili was tantamount to civil heroism and self-sacrifice.

Unfortunately, this work by Javakhishvili is not famous for today's society. We consider it necessary to republish it. Those works by Ilia Chavchavadze that were not described in the mentioned monograph are discussed in the comments. It's quite natural that the coincidence of ideology and outlooks of these two great public figures causes a keen interest. We should take into account this treasure of national heritage in the permanent process of reconstruction of the Georgian statehood.

In the introduction of the monograph, Ivane Javakhishvili discusses general principles of Ilia Chavchavadze's heritage and just after discussing it touches upon the issues of methodology.

Ivane Javakhishvili was the first who pointed to the fact that the political, judicial, economic and social system of conceptions of Ilia Chavchavadze are based on the national heritage.

In his scientific works and publications he attached more attention to the national heritage and reminded the reader that his thoughts were based on it. Ilia attached great importance to the creation of an objective history.

In the outlook of Ilia Chavchavadze past, present and future are analyzed as firm base for the future of the Georgian statehood. In his opinion, the future should be based on a rich national heritage. At the same time, Ilia had never idealized the past of Georgia. In the history of Georgia he saw those negative events that made Georgia to lose its statehood and weakened the country together with the positive ones.

It is important to mention Ilia Chavchavadze's opinions and views about the importance of the history, its role in rising

of patriotic feelings and in the matter of "awaking a sleeping nation". His general conceptual idea that implies amalgamation of all societies and "restoration of a broken bridge" at the same time means both softening of a social antagonism and restoration of a bridge between the Georgian historical heritage and contemporaneity. He believed the generation that was not aware of its own national values would fail to build up a new Georgian national statehood. He put historical aspect forward while determining a nation. "Nation" is a collection of inhabitants living historically together". Ivane Javakhishvili mentioned with a caution that works connected with the history by Ilia Chavchavadze mainly answered those pasquinades that aimed to distort a historical past. Imagination of such distortion of history created conditions for developing foreign political culture and mentality. Taking the abovementioned fact into account, Ilia defended historical heritage and national values bravely and were ready to sacrifice his life. The most important problem that caused great inspiration of Ilia Chavchavadze was Ilia's findings in research of the Georgian economics. He directly pointed to the fact that Ilia was the first who attached attention to these problems. The fact that Georgia fought and defended its nationality, religious and statehood is known throughout the world. Ilia discussed this issue in a different way and asked: What economy endured the wars? In his opinion, the historical forms of landowning determined that fact. According to him, two historical forms (village and peasant) provided union of personal and public interests. Finally, this was a guarantee of economic and political stability of the country.

The establishment of capitalism in Georgia made the country face a new reality and Ilia Chavchavadze found a new alternative way to save his country from the slavery of a foreign capital. Ilia found a way out in restoration of traditional histori-

cal forms of economy and agriculture. In the monograph this issue is discussed thoroughly.

In the monograph Ivane Javakhishvili pays attention to other aspects of Ilia's views. In particular, he attaches attention to Ilia's attitude towards the Georgian language and national traditions. In his conclusion Ivane Javakhishvili troubled that Ilia's works and views were not respected and acknowledged.

სარჩევი

შესავალი 3
ორი დიდი ერისკაცი 5
ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია 9
I. მცირე შენიშვნები „უმაგალითო უმადურობისა და საშინელი უსამართლობის“... შესახებ 33
(ელბერდ ბატიაშვილი)
II. „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა“ 41
(ომარ გოგიაშვილი)
1. „შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მამა.....“ 41
2. „... ისტორია იგი დიდებული ტაძარია....“ 50
3. „ლოგიკამ გზა შეიშალა.....“ 60
III „გლეხობა ჩვენი ეროვნული იმედების სული და გულია....“ 72
(ომარ გოგიაშვილი, ელბერდ ბატიაშვილი)
1. „უმამულო, უმიწო კაცი ჩვენში არსად მოიძვეებოდა“ 72
2. წარსულის „ბალავრის მაგარი ქვები“... 79
რეზიუმე რუსულ ენაზე 89
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 94